



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი**

**სამართლის ფაკულტეტი
სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

თემა: დანაშაულის მომზადება და მცდელობა

**ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

სტუდენტი:

სოსო ავალიშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი

თამარ ებრალიძე

თბილისი

შინაარსი

ანოტაცია	3
Annotation	4
შესავალი	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა	8
თავი II. პრობლემის კვლევა /ანალიზი	11
2.1. დანაშაულის მომზადების ცნება და სახეები	11
2.1.1. დანაშაულის მომზადების ობიექტური ნიშნები	12
2.1.2. დანაშაულის მომზადების სუბიექტური ნიშნები	25
2.1.3. სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი განსახილველ საკითხზე	29
2.2. დანაშაულის მცდელობის ცნება და ნიშნები	33
2.2.1. მცდელობის ობიექტური მხარე	39
2.2.2. დანაშაულის მცდელობის სუბიექტური მხარე	45
2.2.3. მცდელობის სახეები	53
2.2.4. უვარგისი მცდელობა	55
თავი III. კვლევის შედეგი	59
დასკვნა	62
გამოყენებული ლიტერატურა	65

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის პასუხისმგებლობის პრობლემას. ნაშრომი შედგება შესავლის, ორი თავის (ქვეთავებით) და დასკვნისაგან. ნაშრომის ბოლოს მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა. მთლიანობაში ნაშრომი მოიცავს 67 ნაბეჭდ გვერდს.

ნაშრომის პირველ თავში მიმოხილულია ლიტერატურა, რომელიც ნაშრომზე მუშაობისას იქნა გამოყენებული. პირველ და მეორე თავში მოცემულია თემის ძირითადი ნაწილი, რომლებიც ცხრა ქვეთავშია გაშუქებული. ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია დანაშაულის მომზადების და მცდელობის ცნება, სახეები და ნიშნები, ასევე მათი ობიექტური და სუბიექტური მხარეები, ერთ-ერთი ქვეთავი ეთმობა სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. ნაშრომში დეტალურად არის გაშუქებული უვარგისი მცდელობის პრობლემა. ნაშრომის ბოლოს მოცემულია კვლევის შედეგები.

Annotation

Postgraduate work is about responsibility problem for prepare and attempt of crime . The work consists of the opening, two chapters (with subchapters) and conclusion. There is mentioned used literature in the end of the work. As a whole the work consists of 67 printed pages.

In the first chapter there is reviewed used literature, that was used during the writing of the work. In the first and second chapters are given the basic part of the theme, that is highlighted in the nine subchapters. In this part of the work is reviewed the concept of prepare and attempt of crime, varieties and signs, also their objective and subjective aspects, one of the sub chapter is about analysis of justice practice. There is detailed highlighted the problem of unfit attempt in the work. Finally is given the results of research.

შესავალი

დანაშაულობის პრობლემა თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი მწვავე გადაუჭრელ პრობლემაა. იგი ყველა სახელმწიფოს ანუხებს ამოტომ მეტ-ნაკლებად ყოველთვის ხვდება მეცნიერების და პრაქტიკოსების ინტერესის სფეროში.

დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სისხლისსამართლის პასუხიმგებლობის საკითხი გათვალისწინებულია სსსკ-ის მე-6 თავში, რომლის მიხედვითაც დაუმთავრებელი დანაშაულის სახეებია: დანაშაულის მომზადება და მცდელობა. დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნა, ხოლო მცდელობა არის განზრახი ქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.

თემის აქტუალობა. კვლევის აქტუალობა თავად საკვლევის საგნიდან გამომდინარეობს. თანამედროვე სისხლის სამართალი მოითხოვს სამართლებრივი პრობლემატიკის შედარებით-სამართლებრივ ასპექტების განხილვას. ამ მხრივ გამონაკლის არც თანამედროვე ქართული სისხლის სამართალი წარმოადგენს. სისხლის სამართლის მეცნიერების მიზანს წარმოადგენს გაეცნოს და ასევე შეაფასოს მათთვის უცნობი სისხლისსამართლებრივი პრობლემები და ამის და მიხედვით გაიზიაროს ან უარყოს მიდგომები, სადაც ადგილი აქვს უცხო ქვეყნის კანონმდებლობაში ასევე სასამართლო პრაქტიკაში.

საკვლევი თემის აქტუალობაც იმაში მდგომარეობს, რომ მოხდეს დაუმთავრებელი დანაშაულების, კერძოდ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ანალიზი, როგორც ქართული, ისე სხვა ქვეყნების კანონმდებლობის თუ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით.

„კვლევის აქტუალობისათვის განხილულია და გაანალიზებულია დაუმთავრებელი დანაშაულის სახეები კერძოდ: დანაშაულის მომზადება და მცდელობა, მათი როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური შემადგენლობა (თეორიასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების ჭრილში). „¹

დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ქართული და სხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, სხვადასხვაგვარად არის გადანყვეტილი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ისჯება როგორც დანაშაულის მომზადება, ასევე დანაშაულის მცდელობა.

საკვლევი თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ ნორმატიული თეორიის დამკვიდრების შედეგად უფრო მწვავე დამოკიდებულება გაჩნდა დანაშაულის მცდელობის საკითხისადმი, რადგან უამრავმა საკითხმა გადაინაცვლა ბრალის დონეზე და, შესაბამისად, სამოსამართლო სამართლისადმი დასვა დანაშაულის მცდელობის კრიტერიუმების გამოყენებისა და შეფასების პრობლემატიკა.

საკვლევის თემის აქტუალობაც მდგომარეობს იმაში, რომ თავი იჩინა დანაშაულის მცდელობის დროს ევენტუალური განზრახვამ. ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში თავი იჩინა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობამ. ამ შემთხვევაში განსჯის საგანი გახდა პრობლემატიკა, რომელიც უნდა იყოს განხილული ქმედების შემადგენლობის, მართლწინაარმდეგობისა და ბრალის დონეზე. ამ მიმართულებით წამოიჭრა მთელი რიგი საკითხები.

¹ თ. გვეგელია, დაუმთავრებელ დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები, თბ., 2018, გვ., 10, <http://dspace.nplg.gov.ge> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.06.2019

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულის მცდელობის თეორიულ კვლევას გააჩნია არა მარტო დოგმატური ხასიათი, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც, რადგან შემუშავებული რეკომენდაციების შედეგად სასამართლო პრაქტიკისათვის იქმნება ამ ინსტიტუტის შეფასების ერთიანი მოდელი.

ნაშრომის აქტუალობაზე მეტყველებს ისიც, რომ მასში დაყენებულია დანაშაულის მომზადებისაგან დანაშაულის მცდელობის გამოჯვინის პრობლემატიკა. აქედან გამომდინარე მომზადებასა და მცდელობას ხშირად ურევინ ერთმანეთში, ამიტომ საჭიროა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ეს ორი დანაშაულებრივი შემადგენლობა.

ნაშრომის მიზანი. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იმ ძირითადი და სადავო საკითხების განხილვა, რომლებიც დანაშაულის მცდელობის დასჯადობასთანაა დაკავშირებული, სსკ-ს მე-18 და სსკ-ს მე-19 მუხლების სწორი ანალიზისთვის რეკომენდაციების შემუშავება ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარეების, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის დადგენის მიზნით.

ამოცანებს- იმისთვის, რომ დასახული მიზნები რეალურად იქცეს საჭიროა ამოცანების გადაჭრა, რაშიც დაგვეხმარება შემდეგი საკითხების დადგენა:

- დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ცნების დადგენა;
- დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ნიშნების დადგენა;
- დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის სუბიექტური და ობიექტური მხარის დადგენა;
- უვარგისი მცდელობის დადგენა.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა კვლევის მეთოდები როგორცაა: ისტორიული, დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი და ასევე სხვა მეთოდები

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

სამაგისტრო თემა ეხება დაუმთავრებელი დანაშაულის სახეებს - დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. თემაზე მუშაობის დაწყებამდე პირველ რიგში გავეცანი დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის საკანონმდებლო განმარტებას სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 და მე-19 მუხლების მიხედვით. მათ უკეთ გასააზრებლად მოვიძიე სხვადასხვა სამეცნიერო სახელმძღვანელოები, წიგნები, სამართლის კრებულები, და ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებები, სადაც კარგად იყო განმარტებული და ჩამოყალიბებული დანაშაულის მომზადების და მცდელობის საკანონმდებლო დახასიათება.

აღნიშულ თემაზე მუშაობის დროს საშუალება მქონდა შემედარებინა საქართველოს 1922, 1926, 1960, 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსები დღეს მოქმედ კანონმდებლობასთან, რათა თვალნათლივ წარმოჩენილიყო

დაუმთავრებელი დანაშაულის შესახებ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ისტორია.

ასევე თემაზე მუშაობის დროს გავეცანი პროფესორი თ. წერეთლის მონოგრაფიას დანაშაულის მომზადებასა და მცდელობაზე (სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. 1), რაც ერთობ საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის, როგორც თემაზე მომუშავესათვის. პროფ. თ. წერეთელს ნათლად აქვს მოცემული დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ისტორიული მიმოხილვა, მათი დასჯადობის საკითხი საქართველოსა და სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში, მოჰყავს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ნააზრევი ამ საკითხთან დაკავშირებით.

თემაზე მუშაობის დროს ასევე გავეცანი ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებულ „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოს“, რამაც საშუალება მომცა გავცნობოდი სხვადასხვა ავტორების ნააზრევს ამ საკითხზე, რაც ჩემთვის ძალზე საინტერესო და ბევრის მომტანი იყო.

ასევე საინტერესო აღმოჩნდა პროფ. ო. გამყრელიძის ნაშრომი „სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება“. ავტორი არა მხოლოდ თეორიულად განიხილავს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის სამართლებრივ საკითხებს, არამედ კონკრეტული მაგალითებით განამტკიცებს თეორიულ მოსაზრებებს. პროფ. გამყრელიძეს მოტანილი აქვს მაგალითები როგორც სასამართლო, ასევე თავისი საადვოკატო პრაქტიკიდან, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. მკითხველს ეძლევა საშუალება გაიაზროს კონკრეტული საკითხი, მისი მნიშვნელობა და მისგან გამომწვეული შედეგები.

თემაზე მუშაობისას ასევე გავეცანი, პროფ. ე.მჭედლიშვილი-ჰედრიხის ნაშრომს, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“, რამაც ძალზე დიდი დაინტერესება გამოიწვია. მას ნათლად ჰქონდა ჩამოყალიბებული დაუმთავრებელი დანაშაულის სახეები, მისი ნიშნები. კერძოდ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ისტორიული მიმოხილვა, მისი ელემენტები, ასევე შედარებითი-სამართლებრივი ანალიზი როგორც

საქართველოს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობათა მიხედვით. ნაშრომში წარმოდგენილი იყო მაგალითები.

ასევე საინტერესოა პროფ. მ. ტურავას ნაშრომი, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, რომელიც ეხებოდა დანაშაულის მომზადების და მცდელობის შესახებ გამოთქმულ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და თეორიებს, ასევე ნაშრომი გაჯერებული იყო მაგალითებით, რომლებიც საკითხის და პრობლემის უკეთ გაგების შესაძლებლობას იძლევა.

ასევე ჩემი თემის წერის დროს, წავიკითხე სხვადასხვა მეცნიერთა წიგნები, თ. დონჯაშვილი, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, რომელსაც ახლებულად აქვს გადმოცემული დანაშაულის მომზადების სუბიექტური და ობიექტური მხარეები, ასევე მოყვანილია მაგალითები, ავტორი ეხება დანაშაულის მცდელობის დასჯადობის საკითხს, აგრეთვე დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის გამიჯვნის საკითხებს და ა.შ. ასევე გავეცანი ზ. მუჟანაძის, ო.მდინარაძის სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოებს, ი. დვალიძის „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, რომელიც მართალია სასჯელის ინსტიტუტს ეხება, მაგრამ ჩემთვის საინტერესო იყო დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის თავისებურებათა ანალიზის თვალსაზრისით. მოცემული სახელმძღვანელოებიდან ბევრი რამე შევიტყვე, რაც შემდეგ დამეხმარა ჩემი ნაშრომის დაწერისას.

ნაშრომის დაწერის დროს გამოვიყენე თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება. რაც დამეხმარა ჩემი თეორიული ცოდნა ჩემს მიერ განხილული საკითხისადმი პრაქტიკის საშუალებით გამეანალიზებინა.

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1. დანაშაულის მომზადების ცნება და სახეები

„ადამიანის მიერ გადანაცვეტილების მიღების შემდეგ აღგილი აქვს განწყობის აქტუალიზაციას, რაც სუბიექტურ და ობიექტური ფაქტორთა თავმოყრით მიიღწევა. ეს პროცესი პიროვნების შინაგან აქტივობას ემყარება და ნების არსებით მომენტს შეადგენს. ადამიანის ნება ჩანაფიქრიდან გარკვეულ ქმედებაში გადაინაცვლებს და

ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ გზას გაივლის. ასე ხდება დანაშაულებრივი საქმიანობის დროსაც, სადაც დანაშაულებრივი ნების ჩამოყალიბების შემდეგ, ადგილი აქვს ნების ობიექტივაციას, რაც შესაძლებელი დანაშაულისათვის სათანადო პირობების შექმნაში გამოიხატოს. ამდენად, ამ საქმიანობის პროცესში პირველ საფეხურს მოსამზადებელი მოქმედება წარმოადგენს.²

დანაშაულის მომზადების ცნება გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმადაც „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა.“³ ზ. მუჯანაზის და ო.მინდაძის, აზრით „ აქ შედის მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები: დანაშაულის ჩადენის ხერხებისა და საშუალებების გამოძებნა- შეგროვება, მონყობა, იარაღის შერჩევა -მომარჯვება, ტრანსპორტის მოძებნა, თანამონაწილეთა შერჩევა-დაზუსტება, მათთან მოლაპარაკება, ფუნქციონირება განაწილება და სხვა.“⁴

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა. „ მოცემულ განმარტებას გააჩნია ორი ძირითადი ფუნქცია: ერთი მხრივ, იგი ასრულებს გამიჯვრებით ფუნქციას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ განმარტების დახმარებით დანაშაულის მომზადება იმიჯნება განზრახვის გამომჟღავნებისა და დანაშაულის მცდელობისგან (დამთავრებული დანაშაულისგან), ხოლო მეორე მხრივ, იგი ახორციელებს დასჯით ფუნქციას, რომელიც გულისხმობს ყველა კატეგორიის დანაშაულის მომზადების დასჯადობას, გამონაკლისების გარდა.“⁵

²ლ.ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), გამომც., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 2013, გვ. 50,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf

³ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ 1999, მ. 18

⁴ ზ. მუჯანაძე, ო.მინდაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, ქუთაისი, 2005, გვ.179

⁵ ლ.ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ., 50,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf

2.1.2. დანაშაულის მომზადების ობიექტური ნიშნები

დანაშაულის მომზადება იყოფა ობიექტურ და სუბიექტურ ნიშნებად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ერთმანეთისგან განასხვავებს დაუმთავრებელი დანაშაულის ორ სახეს: დანაშაულის მომზადებას (სსკ-ის მე-18 მუხლი) და დანაშაულის მცდელობას (სსკ-ის მე-19 მუხლი). აქედან გამომდინარე დანაშაულებრივ საქმიანობის პირველ სტადიას წარმოადგენს მოსამზადებელი მოქმედება.

„თავისთავად ცხადია, რომ თუ დამნაშავემ, რომელიც ემზადებოდა დანაშაულის ჩასადენას, უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ის გეგმავდა, ე.ი იგი გასცდა მომზადების სტადიას და მცდელობის ან დანაშაულის დამთავრების სტადიაში გადავიდა, იგი დაისჯება მცდელობისათვის ან დამთავრებული დანაშაულისათვის. ამგვარად, დანაშაულის მომზადების დასჯადობის საკითხი შეიძლება მაშინ წარმოიშვას, როდესაც პირი, რომელსაც უნდოდა თავისი განზრახვის განხორციელება, მისი ნების დამოუკიდებლელი მიზეზების გამო შეწყვეტილი იქნეს სწორედ მომზადების სტადიაზე.“⁶

თ. წერეთლის აზრით “დანაშაულის მომზადება გამიჯნული უნდა იქნეს, ერთის მხრივ, განზრახ გამომჟღავნებისგან, ხოლო, მეორე მხრივ, დანაშაულის მცდელობისგან. აქედან გამომდინარე დანაშაულის მომზადების გამიჯნვას განზრახვის გამომჟღავნებისაგან დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან დანაშაულის ჩადენის განზრახვის გამომჟღავნება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს.“⁷

ა. შენგელია, თ. დილიძის აზრითაც „განზრახვის გამომჟღავნება - დანაშაულის ჩადენის ეს სტადია არ ისჯება სისხლის სამართლის წესით. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იწყება მხოლოდ მომზადების სტადიიდან. განზრახვის გამომჟღავნებად ითვლება ის შემთხვევა, როდესაც პირი გამოავლენს ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის სურვილს. მაგ: ა-მ გადაწყვიტა მოკლას თავისი მეზობელი ანა და ამის შესახებ თავისი ფიქრები გაანდო თავის ძმას. ამ შემთხვევაში დასჯად

⁶ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრპბლემები ტI, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ. 377

⁷ იქვე, წერეთელი თბ., 2007, გვ. 377

ქმედებასთან საქმე არ გვექნება, თუ ა-მ დამატებითი ღონისძიებები არ მიიღო თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად.“⁸

პროფ. ოთარ გამყრელიძის აზრით, იურიდიულ „ლიტერატურაში უდავოდ ითვლება, რომ განზრახვის გამომჟღავნება სისხლისსამართლებრივი პასუხილმგებლობას არ იწვევს: თანამედროვე სისხლის სამართალი ქმედების სისხლის სამართალია. ადამიანი ისტება არა აზრის გამოთქმისათვის, არამედ კონკრეტული ქმედებისათვის, რომელიც საფრთხეს უქმნის ან აზიანებს სამართლებრივ სიკეთეს. განზრახვის გამომჟღავნება მხოლოდ მაშინ გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხილმგებლობას, როცა ის საფრთხეს უქმნის ან აზიანებს კონკრეტულ სამართლებრივ სიკეთეს. მაგ: როცა კაცი დანაშაულის ჩადენამდე შეპირდა დამნაშავეს, რომ დატარავს დანაშაულს. შეპირება განზრახვის გამომჟღავნებაა და არაქვს მნიშვნელობა შეპირება შესრულდა თუ არა.“⁹

ქ. მჭედლიშვილი ჰედრისის მიიჩნევს რომ, „დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის მომზადების გამიჯვნას განზრახვის გამომჟღავნებისგან, რადგან კანონმდებელი დასჯად და დაუსჯელ ქმედებას შორის საზღვარს სწორედ დანაშაულის მომზადების სტადიაზე ავლებს. დანაშაულის მომზადების დასჯადობის საფუძველია ის, რომ იგი, განზრახვის გამომჟღავნებისაგან განსხვავებით, განზრახული ქმედების რეალურად განხორციელების პირობებს და აქედან გამომდინარე, სამართლებრივი სიკეთის დაზიანების აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის. მესამე პირისათვის მისანვდომი ფორმით გამოხატული განზრახვის გამომჟღავნება ქმედების ჩადენის მართოდენ სურვილით ამოიწურება, მომზადება კი მოიცავს როგორც სუბიექტურ, ასევე ობიექტურ მხარეს.“¹⁰

„როგორც უკვე ავლიშნეთ, განზრახვის გამომჟღავნება გულისხმობს დანაშაულებრივი განზრახვის გამოვლინებას რაიმე გარეგნული ფორმით. პირს შეუძლია გამოავლინოს დანაშაულის ჩადენის განზრახვა სიტყვიერად მაგ:

⁸ ა. შენგელია, თ. დოლიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., გამომც., „იურისტთა სამყარო“, 2016, გვ. 48

⁹ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ., 237

¹⁰ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრისი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ.24

როდესაც ვინმეს განზრახ დანაშაულის ჩადენას გაგანდობს, ან ასევე შესაძლებელია წერილობითაც როდესაც დღიურში ჩანერ, ასევე უესტიკულაციით, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ დანაშაულებრივი განზრახვის არსებობის შესახებ. მაგრამ არსეთი მოქმედება არ უნდა წარმოადგენდეს ხელის შეწყობას დანაშაულებრივი განზრახვის რეალურად განხორციელებისათვის. სწორეთ ან ნიშნით გასხვავდება განზრახვის გამომჟღავნება მომზადებისაგან. ეს უკანასკნელი ისეთი მოქმედებას წარმოადგენს, რომელიც შესაძლებლად ხდის ან აადვილებს თვით დანაშაულის განხორციელებას.¹¹

ა. გაბიანი და „სხვები“ „ კანონმდებელი არ აკეთებს სანიმუშო ჩამონათვალს, რაშიც შეიძლება გამოიხატოს მოსამზადებელი მოქმედება, არამედ მხოლოდ იყენებს განზოგადებულ ცნებას- პირობების განზრახ შექმნა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვასხვაოთ განზრახვის გამომჟღავნებისაგან. განზრახვის გამომჟღავნება, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, შეიძლება გამოიხატოს წერილობით, გამოთქმით ან უესტიკულაციით, მაგრამ ამას თან უნდა ახლდეს ქმედება, რომელიც დამნაშავის განზრახვის სისრულეში მოყვანის ერთ-ერთ აუცილებელ გარემოებას წარმოადგენს. რამდენადაც ქართული სისხლის სამართალი ქმედების სამართალია, ანუ კრიმინალიზაციის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ გარეგნულად გამოხატული ქმედება, ამდენად განზრახვის გამომჟღავნების დასჯადობის აღიარება დემოკრატიულ პრინციპებზე ხელის აღება იქნებოდა. სისხლის სამართლის კოდექსში გვხვდება მუხლები, რომლებიც ერთი შეხედვით განზრახვის გამომჟღავნებას ჰგავს. მაგ. „სსკ-ის 150-ე (იძულება) და 151-ე (მუქარა) მუხლები“ აქედან გამომდინარე, განზრახვის გამომჟღავნება არ შეილება იყოს, რადგან მუქარა ყოველთვის მისაწვდომია, იმისთვის ვისაც ემუქრებიან, ხოლო სხვა დანაშალის ჩადენის განზრახვა შეიძლება მუქარის ობიექტისთვის არც იყოს მისაწვდომი.¹²

ა. გაბიანი და „სხვები“, აზრით, „ადამიანის მოკვლის განზრახვის გამომჟღავნება, რომელიც წინ უსწრებს მკვლელობას, შეიძლება დაზარალებულისთვის არ იყოს

¹¹ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტI, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ. 377

¹² ა. გაბიანი და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2007, გვ. 157

მისაწვდომი. მუქარის დროს დამნაშავე ყოველთვის ცდილობს მისმა მუქარამ მიაღწიოს დაზარალებულამდე. მეორე, მუქარის ობიექტი ყოველთვის არის ადამიანის უფლება და თავისუფლება, რომელიც სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ან საკუთრების უსაფრთხოებას გულისხმობს. ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის განზრახვა სწორედ იმ სამართლებრივ სიკეთეს უპირისპირდება, რაც პირის მიზანს შეადგენს¹³.

იმის დასადგენად, თუ რა ხასიათის მოქმედება წარმოადგენს დანაშაულის მომზადებას, უნდა მივმართოთ დანაშაულის მომზადების საკანონმდებლო განსაზღვრებას.

საქართველოს ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად „ დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა“¹⁴.

აღრე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, ღღეს მოქმედი კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების მომზადებისათვის“¹⁵

თ. დონჯაშვილის აზრით, „მოსამზადებელი მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულის აღსრულების დაწყებას. იგი მხოლოდ ქმნის პირობებს იმისათვის, რათა მომავალში შესაძლო გახდეს დანაშაულის განხორციელება ან გაადვილდეს მისი ჩადენა. თუ პირმა ნებაყოფლობით შეწყვიტა მოქმედება ამ სტადიაზე, იგი განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.“¹⁶

ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოს ა. გაბანია და „სხვები“, მათი აზრით, „მოსამზადებელი საქმიანობა სხვადასხვა ქმედებით შეიძლება გამოვლინდეს, რაც დამოკიდებულია არა მარტო დანაშაულის იურიდიულ ბუნებაზე, არამედ მისი განხორციელების კონკრეტულ სიტუაციაში არსებულ მრავალ ფაქტორზე, რომელიც ობიექტური, ან სუბიექტური ხასიათის შეიძლება იყოს. აღნიშნული

¹³ ა. გაბანია და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2007, გვ., 157

¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ.18

¹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 18

¹⁶ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ., 217

შეიძლება განვიხილოთ სსკ-ის 228-ე მუხლის (მეკობრეობა) მაგალითზე. მეკობრეობის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე მისი განხორციელება ამსრულებლის მიერ მხოლოდ წყალში მყოფ მკურავ საშუალებაზე შეიძლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წყლის ტერიტორიაზე მისვლა ამსრულებლისათვის აუცილებელია დანაშაულის ჩასადენად. მეკობრეობის ჩასადენად დამნაშავეს შეიძლება დასჭირდეს ნავის შექმნა, იარაღის დამზადება, თანამზრახველების მოძებნა, რაც ყოველთვის შექმნილ ვითარებაზეა დამოკიდებული. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი მოქმედებანი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მომზადებად, თუ მათი განხორციელება სწორედ დანაშაულებრივი განზრახვითაა განპირობებული. მაგალითად: ხანჯლის დამზადება შეიძლება იყოს როგორც მართლზომიერი, ისე მართლსაწინააღმდეგო. დანაშაულის მომზადებაა თუ ხანჯალს პიროვნება ამზადებს ადამიანის მოკვლის მიზნით.¹⁷

როგორც ავლნიშნეთ სისხლის სამართლის კოდექსის მ-18 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა“¹⁸ პირობების განზრახ შექმნა იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის მომზადება ისევე როგორც მცდელობა დამახასიათებელია მხოლოდ განზრახი დანაშაულისათვის. განზრახვა შეიძლება დავყოთ უეცრად აღმოცენებულ და წინასწარ მოთქმებულ განზრახვად. დანაშაულის მომზადება შესაძლებელია მაშინ, როცა წინასწარ მოთქმებულ განზრახვასთან გვაქვს საქმე.¹⁹

„პირობების შექმნა ფართო ცნებაა და მრავალგვარ მოქმედებას მოიცავს, იმისდა მიხედვით, თუ როგორია კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ამა თუ იმ დანაშაულის ობიექტური მხარე, რა ხერხით და საშუალებით შეიძლება მისი ჩადენა.“²⁰

¹⁷ ა. გაბანია და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ. 157-158 (რედ: გ. ნაჭყებია და ი. დვალაძე)

¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 18

¹⁹ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტIII, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ.237

²⁰ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტIII, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ.237

მ. ლომსაძის აზრით, „პირობების შექმნაში იგულისხმება მრავალგვარი მოქმედება, იგი შეიძლება გამოიხატოს მაგ: თანამონაწილეთა გამოძებნაში, უშედეგო ნაქებებაში, დანაშაულის ჩასადენად აუცილებელი ცნობების შეგროვებაში, ხელყოფის ობიექტის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებაში, რომ შესაძლებელი იქნეს მისი ხელყოფა, დაბრკოლების აცილებაში“²¹.

„იურიდიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ პირობების შექმნა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იარაღის ან საშუალების დამზადებას ან შექმნას თუ მომარჯვებას დანაშაულის ჩასადენად. ზოგჯერ ერთმანეთისგან ანსხვავებენ იარაღს და საშუალებას. იარაღი ან საშუალება შეიძლება იყოს ნებისმიერი საგანი, როგორც არის მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღი, დანა, ან დაამზადოს სანამლავი და სხვა, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩასადენად.“²²

„იარაღის ან საშუალების დამზადება გულისხმობს მათ გაკეთებას. მაგალითად, ქურდობის ჩასადენად კაცმა შეიძლება გააკეთოს კიბე ან მოიტანოს კიბე ბინასთან მისი გაქურდვის მიზნით. დაამზადოს იმივე მიზნით გასაღები ან სხვა საგანი კარის გასაღებად. დაამზადოს ხელსაწყო ყალბი თულის მოსაჭრელად და სხვა. ერთი სიტყვით, ყველა დანაშაულის ჩასადენად სპეციფიკური იარაღი თუ საშუალება საჭირო.“²³

ო. გამყრელიძე მიიჩნევს რომ „როცა დანაშაულის იარაღის დამზადება-შექმნაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვექონდეს ამ იარაღის კონკრეტული დანაშაულის ჩადენა. იარაღის მოპოვება დანაშაულის მომზადებად მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება, როცა ეს იარაღი წინასწარ ჩაფიქრებული კონკრეტული დანაშაულის ჩადენისთვისაა შექმნილი ან დამზადებული. აგრეთვე მომზადებად ვერ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, როცა კაცმა იარაღი, მართალია საყაჩაღოდ შეიძინა, მაგრამ თავდასხმის ობიექტი ჯერ არ გამოუნახავს, არ დაუკონკრეტებია. ასეთი

²¹ მ. ლომსაძე, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც: „უნივერსალი“, 2014, გვ., 66

²² ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტIII, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ.237

²³ იხ. იქვე, გამყრელიძე, თბ., 2013, გვ. 237-238

ქმედება, თუ იარაღი უკანონოდაა შექმნილი. სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით დაკვალიფიცირდება“.²⁴

თ. წერეთლის აზრით დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა მარტო იარაღის ან საშუალების გამოძებნა-დამზადებას არ გულისხმობს. მოსამზადებელ მოქმედებათ ასევე აუცილებელია ცნობების შეგროვება, დაზარალებულის დანაშაულის ჩადენისათვის ხელსაყრელ ადგილას გატყუება, ჩასაფრებას, დარაჯის დათრობას და ა.შ.²⁵

მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნას, თუნდაც მასში აშკარად გამოვლინდეს დანაშაულის ჩადენის განზრახვა, არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მომზადებად და განხილული უნდა იქნეს როგორც განზრახვის გამომჟღავნება, რომელიც სისხლის სამართლის პასუხიმგებლობას არ იწვევს.

ო. გამყრელიძეს მიაჩნია, რომ თუ მოქმედება არ ქმნის დანაშაულის ქმედების შემადგენლობას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სისხლის სამართალი ქმედების სისხლის სამართალი არ ყოფილა და რომ ადამიანი შეიძლება დავსაჯოთ აზრის გამოთქმისთვის ანუ, განზრახვის გამომჟღავნებისათვის. ქმედების შემადგენლობის მოცულობას განსაზღვრავს კანონმდებელი. თუ კი კანონმდებელმა დასჯადად გამოაცხადა კაცის მოკვლის მიზნით იარაღის ან საშუალების დამზადება, მაშინ ეს მოქმედება მკვლელობის შემადგენლობის ნიშნადაც უნდა ვაღიაროთ.²⁶

სისხლის სამართლის ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ მომზადების სფეროში შემავალი ქმედება დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს წარმოადგენს. ამ მოსაზრებას იმ არგუმენტით ხსნიან რომ სისხლის სამართალი ქმედების სამართალია და თუ მოქმედება დანაშაულის შემადგენელ ელემენტად არ ჩაითვლება, მაშინ სამართალშემფარდებელს მოუწევს პირის დასჯა განზრახვის გამომჟღავნებისთვის.²⁷

²⁴ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, გამომც: „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ.238

²⁵ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტI, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ. 382

²⁶ იხ. იქვე, გვ., 239

²⁷ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ.239

თ. წერეთლის აზრით მოსამზადებელი საქმიანობა არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი მოქმედება, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ შექმნას პირობები დანაშაულის ჩასადენად მაგრამ თვითონ არ ქმნის ამ პირობებს. მაშასადამე, თუ პირი მკვლელობის მიზნით მიემართება თოფის საყიდლად, მაგრამ თოფის ცდა უშედეგოდ თავდება, ასეთი მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მომზადებად.²⁸

გარდა ამისა, იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის მომზადებად თვლიან ასევე დანაშაულის ადგილისკენ წასვლას, ჩასატერებას ანდა უშედეგო წაქეზებას.²⁹

“სისხლის სამართლის ლიტერატურაში პრობლემატური იყო უშედეგო წაქეზებასა და უშედეგო დახმარების დანაშაულის მომზადებად შეფასების საკითხი, მიუხედავად ამისა, გაბატონებული შეხედულება ყოველთვის აღიარებდა, რომ წამქეზებლის და დამხმარის ქმედებები მომზადების სტადიას არ სცილდება და შესაბამისად, უშედეგო წაქეზება და უშედეგო დახმარება არ შეიძლება უფრო მეტად ან უფრო ნაკლებად შეფასდეს”³⁰.

უშედეგო წაქეზებასა და დახმარების დანაშაულის მომზადებად დაკვალიფიცირებასთან დაკავშირებით, თ. წერეთელი ეწინააღმდეგება საბჭოთა იურისტებს, რომელთაც მიაჩნდათ, რომ უშედეგო წაქეზება ან დახმარება არ შეიძლება დაკვალიფიცირებული იქნეს, როგორც დანაშაულის მომზადება, ვინაიდან დანაშაულის მომზადებისათვის აუცილებელია განსაზღვრული სუბიექტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლით დანაშაულის ამსრულებლისათვის დადგენილი ნიშნები.³¹

ამგვარი შეხედულება თ. წერეთელს არ მიაჩნია მართებულად, რადგან „თუ პირი ერთპიროვნულად მოქმედებს, იგი აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს

²⁸ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტI, თბ., გამომც. მერიდიანი, 2007, გვ. 380

²⁹ ქ. მჭედლიშვილი ჰედროსი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 23

³⁰ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ., 53,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული) 29.05.2019

³¹ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტI, თბ., გამომც. მერიდიანი, 2007, გვ. 383

სუბიექტის იმ ნიშნებს, რაც დანაშაულის შემადგენლობაშია აღწერილი, მაგრამ რამდენადაც პირის განზრახვა მიმართული იყო, იმაზე რომ სხვისი მეშვეობით ჩაედინა დანაშაული, რატო არ შეიძლება განვიხილოთ იგი როგორც მოსამზადებელი მოქმედების ჩამდენი, თუ მისი ნაქმება უშედეგო აღმოჩნდა. ასეთ მოქმედებათა განხილვა, როგორც ნაქმების მცდელობისა, არ შეესაბამება არც თანამონაწილობის და არც მცდელობის არსს. მცდელობა ეს ისეთი მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე. ნამქმების და დამხმარის მოქმედებანი თავისთავად უშუალოდ არასდროს არ არიან მიმართული დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე, ამიტომ მცდელობას მათ მოქმედებაში ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამსრულებელის მოქმედებამ მცდელობის სტადიამ მიაღწია. როგორც მართებულად მიუთითებენ საბჭოთა ლიტერატურაში, რამდენადაც მომზადება და მცდელობა დანაშაულის განვითარების სტადიები არიან, ამდენად თანასწორობის მცდელობა შეუძლებელია. პირიქით, უშედეგო ნაქმება და დახმარება წარმოადგენენ პირობების შექმნას დანაშაულის ჩასადენად.³²

„დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით ხშირია დანაშაულის თანამონაწილეობით განხორციელება. იმის კითხვა: გამოირჩევა თუ არა სპეციფიკურობით თანამონაწილეთა დანაშაულებრივი ქმედებანი ამსრულებლის დანაშაულებრივი ქმედებებისაგან მომზადებისა და მცდელობასთან მიმართებით, ამგვარი სპეციფიკურობა განპირობებულია თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებით, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაული ბოლომდე მიყვანა ამსრულებელზეა დამოკიდებული. მაგ: ა-მ ნააქმა ბ მოეკლა დ, , ხოლო რ-მ ბს გადასცა იარღი მკვლელობისთვის. ბ-ს ნასროლი ტყვია ასცდა დ-ს. ამსრულებელი და თანამონაწილეები არ დაისჯებიან მკვლელობის მცდელობისათვის. მაგრამ თუ ბ მკვლელობას არ განახორციელებს, მაშინ ა და რ ნაქმების მცდელობისა და დახმარების მცდელობის გამო (როგორც უშედეგო მოქმედებები) დაისჯებიან მკვლელობის მომზადებისათვის, რადგან არც ერთის მოქმედება არ შედის

³² თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტI,თბ., გამომც. მერიდიანი, 2007, გვ. 384

მკვლევლობის შემადგენლობაში. დანაშაულის შემადგენლობას თავიდან ბოლომდე მხოლოდ ამსრულებელი ასრულებს. ამიტომ თანამონაწილეთა მოქმედება არ შეიძლება პირობების განზრახ შექმნის ფარგლებს გასცდეს.³³

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გხვდება ისეთი დანაშაულის შემადგენლობანიც, რომელიც თანამონაწილის მოსამზადებელ მოქმედებას დამთავრებულ დანაშაულად აცხადებს. მაგალითად, ა-მ ცეცხლსასროლი იარაღი შეიძინა იმ მიზნით, რომ ბ-ს მკვლევლობაში დახმარებოდა. ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა უკვე დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას შეიცავს, რომელიც თავის მხრივ ამ მაგალითში, მკვლევლობის მომზადებას წარმოადგენს. ამრიგად, მოსამზადებელი ქმედებები შეიძლება გამოიხატოს იარაღის, საშუალების ან რაიმე საგნის დამზადების, შეძენასა და მოპოვებაში, დაბრკოლების თავიდან აცილებაში, პირთა შორის შეთანხმების მიღწევასა და სხვა. მაგალითად, ქურდობის ჩასადენად სიგნალიზაციის გამორთვა, მკვლევლობისათვის იარაღის შეძენა, საპატიმრო ადგილიდან გაქცევა, გვირაბის გათხრა და სხვა.³⁴

მოსამზადებელ მოქმედებად აგრეთვე ითვლება თანამონაწილებთან შეთანხმება. თ. წერეთელი აღნიშნავს, რომ „ეს მომენტი პირდაპირ აღნიშნულია ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსში (თანამონაწილეთა გამონახვა). კიდევ უფრო დეტალურად ამ მომენტზე მიუთითებს უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის თანახმად მოსამზადებელი მოქმედებას ასრულებს აგრეთვე ის პირი, ვინც მოუწოდებს სხვას დანაშალებრივი განზრახვის ჩასადენად, შეპირდა ამ მიზნით დახმარებას, კისრულობს სხვისი ზეგავლენით დანაშაულის ჩადენას ან შეუთანხმდება ვინმეს დანაშაულის ერთად ჩადენის შესახებ. ალბანეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-14 მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ წამქეზებელი და დამხმარენი იმ შემთხვევაში, ვისაც ისინი იყოლიებდნენ დანაშაულის ჩასადენად ან რომელსაც ეხმარებოდნენ დანაშაულის ჩადენში, არ ჩაიდენს დანაშაულებრივ ქმედობას, სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებენ დანაშაულის

³³ ა. გაბიანი და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „მედიანი“, 2007, გვ.158, (რედ: გ. ნაჭყებია და ი დვალიძე)

³⁴ ა. გაბიანი და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც., „მედიანი“, 2007., გვ.158, (რედ: გ. ნაჭყებია და ი დვალიძე)

მომზადებისათვის, ასეთივე შეხედულება გატარებულია ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლში.³⁵

იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით სხვადასხვა მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ მომზადების სფეროში შემავალი ქმედობა დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს. ამ მოსაზრებას ისინი ამყარებენ იმით, რომ სისხლის სამართალი არის ქმედების სამართალი და შესაბამისად თუ მოქმედება დანაშაულის შემადგენელ ელემენტად არ ჩაითვლება მაშინ მოგვიწევს განზრახვის გამომჟღავნებისათვის პირის დასჯა.³⁶

ამ მოსაზრებას უპირისპირებს თ. წერეთელი რომლის მიხედვითაც „დანაშაულის მომზადება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს იმ დანაშაულის შემადგენლობის ნიშანს რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების დაწყებას. მოსამზადებელ მოქმედებაში, რა თქმა უნდა, არის დანაშაულის მომზადების შემადგენლობა, მაგრამ ეს მოქმედება არ წარმოადგენს იმ დანაშაულის შემადგენლობის ნიშანს, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ცალკეულ მუხლში. გასაღების გაკეთება ქურდობის მიზნით არ წარმოადგენს ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობის დანაშაულის ობიექტური ნიშნის განხორციელებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასახელებული შეხედულება, რომელიც გაბატონებულ პოზიციად ითვლება, დანაშაულის მომზადებაში არ გამოირიცხავს ფართო გაგებით დანაშაულის შემადგენლობის არსებობას.“³⁷ რაც შეეხება ი.დვალიძის აზრით, კანონმდებელი შემთხვევით არ ხმარობს სიტყვა „პირობას“ მრავლობითში მომზადების ცნების

³⁵ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ. I, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ. 382-383

³⁶ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანასაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ., 54, თ. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ I, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ., 237.

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli.pdf (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული) 29.05.2019

³⁷ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები ტ I, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ. 385-386

განმარტებისას, რამდენადაც მომზადება დასრულებულად უნდა ჩაითვალოს რამდენიმე ქმედების განხორციელებით, რაც საბოლოოდ დანაშაულის განსახორციელებლად პირობათაერთობლიობას ქმნის.³⁸ სადაო თუ რამდენად მართებულია საკითხისადმი ასეთი მიდგომა, თუმცა ცხადია, რომ აღნიშნული მსჯელობა ხელს უნობს დანაშაულის შემადგენლობის დუალისტურ გაგებას, რაც ცალსახად გაუმართლებელია. ამდენად, უმჯობესია, თუ სისხლის სამართლის დოგმატიკა არ შეეცდება მასში ხელოვნურად დანაშაულის შემადგენლობის შექმნას ფართო გაგებით და დანაშაულის მომზადებად მივიჩნევთ დანაშაულის ჩასადენად მხოლოდ პირობების განზრახ შექმნა, როგორც ეს მოცემლია სსკ-ის მე-18 მუხლის პირველ ნაწილში.

დანაშაულის ობიექტური მხარის თავისებურება ასევე მდგომარეობს, იმაში რომ დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა შესაძლებელია გამოიხატოს როგორც აქტიურ, ასევე პასიურ მოქმედებაში. პასიური ისეთი მოქმედება, მაგალითად. ბანკის თანამშრომელი შეგნებულად არ კეტავს კარებს, რათა მისმა თანამზრახველმა დაბრკოლების გარეშე გადალახოს სეიფამდე მისასვლელი გზა და დაეუფლოს მასში განთავსებულ ფულს. ასევე დანაშაულის მომზადებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ცირკის მეპატრონე ცხოველების გალიას არ უკეტავს კარებს, რადგან იქ მისულ მეპატრონეს ცხოველები თავს დაესხნენ.³⁹

ო. გამყრელიძე მიიჩნევს რომ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლი დანაშაულის მომზადების ცნებას ზოგადად განსაზღვრავს, ფრაზას პირობების განზრახ შექმნას ძალიან განზოგადებულია, ამიტომ სჭირდება მას კონკრეტიზაცია, პრაქტიკულად პირობების განზრახ შექმნა კონკრეტული ქმედების მომცველი უნდა იყოს.“⁴⁰ კონკრეტიზაცია გულისხმობს ასევე „როცა დანაშაულის იარაღის დამზადება-შეძენაზე ვლავარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ამ

³⁸ ი. დვალაძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ. 159

³⁹ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 54

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.05.2019

⁴⁰ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები, ტI, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ.236

იარლით კონკრეტული დანაშაულის ჩადენა. იარლის მოპოვება დანაშაულის მომზადებად მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება, როცა ეს იარალი წინასწარ ჩაფიქრებული კონკრეტული დანაშაულის ჩადენისთვისაა შექმნილი ან დამზადებული, მაგალითად, კაცმა იშოვა ცეცხლსასროლი იარალი, რაიმე საქმეში გამომადგებაო, მაგრამ ჯერ დაკონკრეტებული არ აქვს, რას ჩაიდენს ამით, მკვლელობას, ყაჩაღობას თუ სხვა დანაშაულს. ასეთი შეძენა იარლის, რასაკვირველია დანაშაულის მომზადებად ვერ ჩაითვლება.⁴¹

არა ყოველგვარი პირობა ქმნის დანაშაულის მომზადებისთვის დასჯადობის საფუძველს, არამედ მხოლოდ ისეთი პირობები, რომლებსაც რეალურად შეუძლიათ მართლსაწინააღმდეგო შედეგის გამომწვევა. ამიტომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, „პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისათვის ან მცდელობისათვის, თუ მისი უმეცრებისა ან სხვა პიროვნული ნაკლოვანების გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლებოდა მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი.“⁴² „ასეთ პირობებს, შესაძლებელია, არარეალური ან კიდევ აბსოლიტურად უვარგისი პირობები ეწოდოს, მაგალითად, როდესაც პირს, რომელმაც კაცის მოსაკლავად სათამაშო იარალი შეიძინა ან მოიმარჯვა, ჰგონია რომ ამ იარალით მიზანს მიაღწევს.“⁴³

დანაშაულის მომზადება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლით დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნაა. დღევანდელი კოდექსი დანაშაულის მომზადების ფორმაზე ყურადღებას არ ამახვილებს. ამ ცნებაში დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნილი ნებისმიერი ქმედება მოიაზრება, ე.ი კანონის ამ მუხლიდან გამომდინარე დანაშაულის მომზადება შესაძლებელია როგორც მოქმედებით ასევე უმოქმედობითაც.

⁴¹ იხ, გამყრელიძე, 2013, გვ., 238

⁴² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999. მ. 20

⁴³ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ.55,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf 29.05.2019

გ. ტყეშელიაძე და „სხვები“, მიიჩნევენ, რომ „დანაშაულის მომზადებაა არა მხოლოდ დარაჯის მიერ შენობის კარის გახსნა (ანუ მოქმედობა) შენობაში მყოფთა დაყაჩაღებისთვის, არამედ აგრეთვე შენობის კარის დაუკეტობა (უმოქმედობა) ამავე მიზნით. გარანტი თავისი უმოქმედობით (კარის დაუკეტობით) ამსრულებელს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებაში ეხმარება. ამსრულებლის მიერ განხორციელებული დანაშაულის მომზადება და მცდელობა უმოქმედო გარანტს შეერაცხება როგორც დახმარება მომზადებასა და მცდელობაში.⁴⁴

„გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკა დანაშაულის უმოქმედობით მომზადების პრობლემას არ იცნობს, რადგან დანაშაულის მომზადება არაა დასჯადი. პოსტსაბჭოური რუსული სისხლის სამართალი დანაშაულის უმოქმედობით მომზადებას აღიარებდა. გავრცელებული იყო უმოქმედობის მომზადების შემდეგი მაგალითი, თანამშრომელი წინასწარი განზრახვით არ კეტავს სამსახურში ფანჯარას, რათა ღამე თავად შევიდეს შენობაში და ფული მოიპაროს. აქედან გამომდინარე გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაში გამოთქმული მოსაზრება მიხედვით, უმოქმედობით განხორციელებული დანაშაულის მომზადება რუსულ სისხლის სამართალში დასჯადი არ უნდა იყოს, რადგან პირი დანაშაულის ჩასადენად ენერგიას არ ხარჯავს ამიტომაც უმოქმედობით მომზადებისას ქმედების უმართლოა მეტად მცირეა.“⁴⁵

„დანაშაულის უმოქმედობით მომზადება მხოლოდ მაშინ უნდა იყოს დასჯადი, როდესაც იგი მცდელობის სტადიასთან ახლოს დგას, როდესაც პირი სამართლებრივი სიკეთისათვის შექმნილი აბსტრაქტული საფრთხეს თავიდან არ იცილებს და მესამე პირის მისი უმოქმედობის სოციალური ადეკვატურობის დაჯერება უკვე აღარ შეუძლია. ე.ი როდესაც უმოქმედობა საქმის ყველა სხვა

⁴⁴ გ. ტყეშელიაძე და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მესამე გამოცემა, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2018, გვ., 266

⁴⁵ ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ.31

გარემოების გათვალისწინებით ყოველგვარი ეჭვის გარეშე იმ დელიქტებზე მიუთითებს, რომლის ჩადენაც პირს ჰქონდა გადაწყვეტილი.⁴⁶

2.1.2. დანაშაულის მომზადების სუბიექტური ნიშნები

„დაუთავრებელი დანაშაულის დროს დანაშაულის სუბიექტური მხარე ობიექტურს საჭიროებს. დანაშაულის მომზადების სუბიექტური მხარე მოიცავს დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნის და დანაშაულის შემადგენლობის (თუ შემადგენლობა შედეგს მოიცავს, მაშინ დანაშაულებრივი შედეგის) განხორციელებისაკენ მიმართულ განზრახვას. მიზნით დაფუძნებულ დელიქტებში დანაშაულის მომზადების სუბიექტური მხარე შესაბამის მიზანსაც უნდა მოიცავდეს.“⁴⁷

სუბიექტური მხრით მოსამზადებელი მოქმედება აუცილებლად განზრახ ბრალს გულისხმობს. პიროვნება ამზადებს პირობებს დანაშაულის ჩასადენად დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების მიზნით. ეს მომენტი პირდაპირ არის მითითებული საფუძვლების მე-15 მუხლში, სადაც ნათქვამია: „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩასადენად საშუალებების ან იარაღების გამონახვა თუ მომარტყვება ან პირობების სხვაგვარად განზრახ შექმნა.“⁴⁸

ამგვრად, მომზადების დრო განზრახვა მიმართული უნდა იყოს არა მოსამზადებელ მოქმედებაზე, არამედ შედეგი განხორციელებაზე. ასევე განზრახვა უნდა მოიცავდეს ყველა იმ გარემოებას, რომელიც დაუთავრებელ დანაშაულის შემადგენლობაში შედის.

„ქართულ და საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში დომინირებდა აზრი იმის შესახებ, რომ დანაშაულის მომზადების დროს მოსამზადებელი ქმედებები მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხორციელდება, ამასთან, განზრახვა წინასწარ მოთქმებული უნდა იყოს და თვით მოსამზადებელი მოქმედებების ჩადენის

⁴⁶ ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ.31

⁴⁷ ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 33

⁴⁸ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები ტI, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ., 388

მომენტში უნდა არსებობდეს. მაგალითად, თუ კაცმა თოფი სანადიროდ შეიძინა, ეს ქმედებები არ შეიძლება დანაშაულის მომზადებად ჩაითვალოს, თუნდაც შემდგომ სუბიექტს დაებადოს ამ საშუალების მკვლევლობის ჩადენის განზრახვა.⁴⁹

ქ.მჭედლიშვილი ჰედრიხის აზრით, „ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მომზადება შეუძლებელია, რადგან წარმოადგენელია, ადამიანმა დანაშაულის ჩასადენად პირობები მოამზადოს, თუ მას შედეგის დადგომა არ სურს.“⁵⁰ აქედან გამომდინარე დანაშაულის მომზადება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით.

„საკითხის ასე გადანწყვეტას არ იზიარებენ სისხლის სამართლის ის მეცნიერები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დანაშაულში დახმარება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. მათ მიაჩნიათ, რომ მიზანი არის უმართლობის ის ელემენტი, რომელიც საერთოა ყველა თანამონაწილისათვის და იგი მაშინ არის სახეზე, როდესაც დელიქტი ჩადენილია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. აქედან გამომდინარე, მათი შეხედულებით, თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით და ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობა მხოლოდ მოჩვენებითია.“⁵¹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისთვის.“⁵²

„ მოსამზადებელი მოქმედება განზრახვი დანაშაულის განვითარების ადრეული სტადიაა და ის საკმაოდ დაცილებულია დამთავრების სტადიას. ამიტომ, არის რომ

⁴⁹ ლ.ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 57,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.05.2019

⁵⁰ ქ.მჭედლიშვილი ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომც. თბ., „მერიდიანი“, 2011, გვ. 33

⁵¹ ლ.ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 57

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.05.2019

⁵² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ, 1999, მ. 18

დანაშაულის მომზადება ყველა შემთხვევაში არ იწვევს პასუხიმგებლობას. პასუხიმგებლობას იწვევს მხოლოდ გმძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა დანაშაულის მომზადებისთვის პასუხიმგებლობას საერთოდ არ აწესებს.⁵³

დანაშაულის მომზადების დასჯადობა მეცნიერებაში სადავოა. საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნები დანაშაულის მომზადებას არ მიიჩნევენ დასჯად სტადიას. აქედან გამომდინარე, ეს ქვეყნები დასჯას იწყებენ დანაშაულის მცდელობიდან.

„მომზადების დასჯადობის საკითხი პრობლემურია იურიდიულ ლიტერატურაში. მისი დასჯადობას მეცნიერთა ნაწილი საერთოდ არ უჭერს მხარს (თუნდაც დამთავრებული მომზადების დროს). მთელი რიგი ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულის მომზადება არაა მიჩნეული დასჯად სტადიად. ამ ქვეყნებს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში აქვთ გათვალისწინებული მომზადების სტადიიდან ქმედების სისხლისსამართლებრივი წესით. დასჯადობისათვის ცალკეული ე.გ. შეკვეცილი შემადგენლობა.“⁵⁴

„დანაშაულის მომზადებაზე უარის თქმისათვის არსებობს შემდეგი არგუმენტები:

1. მომზადების დროს სამართლებრივ სიკეთეს ექმნება სამომავლო და არა იმწუთიერი საფრთხე;
2. მომზადება შეიძლება ისეთ ქმედებაში გამოიხატოს, რაც საზოგადოდ სოციალურად ადეკვატურია. მაგალითად, ადამიანმა შხამი შეიძინოს როგორც მღრღნელების გასანადგურებლად, ასევე მკვლელობის ჩასადენად;
3. აქედან გამომდინარე პროცესუალურად ძნელია იმის მტკიცება, რომ პირი ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად ემზადება;

⁵³ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, თბ., გამომც, „მერიდიანი“, 2013, გვ. 239-240

⁵⁴ ზ. გოგშელიძე, „მკვლელობის მომზადების დასჯადობის საკითხი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, #3, ISSN 2449-3112, თბ., 2018, (113-124), გვ., 116, https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sixxl-aqtual3.pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 30.05.2019

4. მომზადების შემდეგ პირს ჯერ კიდევ აქვს დრო დაფიქრებისთვის, რა დროსაც მან შეიძლება არ გააგრძელოს წამოწყებული ქმედება და ისე დაიხიოს უკან, რომ სამართლებრივ სიკეთეს არავითარი ზიანი (და არც საფრთხე) არ მიაღგეს⁵⁵

ოთარ გამყრელიძე აზრით „სასურველია, რომ სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის მომზადებისათვის აღიძრას იმ შემთხვევაში, როცა მოსამზადებელი მოქმედება უფრო ახლოს არის მცდელობის სტადიასთან, თუმცა დანაშაულის მცდელობას მას ჯერ კიდევ ვერ დავარქმევთ. სასურველია აგრეთვე, რომ მოსამზადებელი მოქმედებისათვის დამნაშავე მხოლოდ მაშინ დაისაჯოს, როცა ის მიზნად ისახავდა ადამიანის წინაარმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენას.

და ბოლოს დანაშაულის მომზადების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-18 მუხლით და კერძო ნაწილის იმ მუხლით, რომლის ჩადენისთვის დამნაშავე ემზადებოდა.“⁵⁶

2.1.3. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

2018 წლის 6 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლო განიხილა ალ-ს საქმე ვა-ს მიმართ გათვალისწინებული სსკ-ის 18, 109 მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ალ-ს ბრალი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა ანგარებით ან შეკვეთით ერთი პირის განზრახ მკვლელობა მომზადებისათვის⁵⁷

ალ-ის დანაშაულის ჩადენა გამოიხატება შემდეგში:

ალ-----კმა შურისძიების მოტივით განიზრახა ჩაედინა შეკვეთით განზრახ მკვლელობა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანის მიზნით, 2018 წლის 25 იანვარს, იგი

⁵⁵ ზ. გოგშელიძე, „მკვლელობის მომზადების დასჯადობის საკითხი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, #3, ISSN 2449-3112, თბ., 2018, (113-124), გვ.,116 https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sisxl-aqtual3.pdf 30.05.2019

⁵⁶ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, გამომც, „მერიდიანი“, თბ, 2013, გვ. 242

⁵⁷ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო, განაჩენი, საქმე 1/15---18

დაუკავშირდა ამ-----რის და იმავე დღეს შეხვდა ქ.თბილისში შა-----ის ქუჩაზე მდებარე რესტორან ნა----ში. შეხვედრისას ალ----კმა ამ----რის განუცხადა, რომ საქართველოში იმყოფებოდა ირანის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე ვა-----ი, რომელიც მის მიმართ სოციალურ სოციალური ქსელების მეშვეობით ავრცელებდა სახელგამტეხ ინფორმაციას. აღნიშნულის გამო ალ----კმა ამ----რის დაავალა ეპოვა მკვლელი, რომელიც გასამჯელოს მიღების სანაცვლოდ მოკლავდა ვა---ს. შეხვედრისას ალ----კმა აჩვენა მას ვა--ის სურათი. ამ----რემ ალ----კს უთხრა, რომ თითქოს მას ჰყავდა ჩეჩენი მეგობარი, ვინც განახორციელებდა ვა---ის მკვლელობას. 2018 წლის 27 იანვარს, კვლავ შედგა ამ ---რისა და ალ----კის შეხვედრა, რა დროსაც შეთანხმდნენ მკვლელობის დეტალებზე და შემდგომ გვამის გადამალვის გეგმაზე, ასევე ალ----კი დაჰპირდა, რომ ვა---ის მკვლელს გადაუხდიდა 5000 აშშ დოლარს და იარაღის შესაძენად მისცემდა, 500 აშშ დოლარს. 2018 წლის 4 თებერვალს ამ--რი შეხვდა ალ----კს, რა დროსაც ამ უკანასკნელმა დააზუსტა მკვლელობის დეტალები. მან დაავალა ამ----რის, რომ მკვლელობის შესრულების დასადასტურებლად საჭირო იყო გვამისათვის სურათის გადაგება და მისთვის ჩვენება, ასევე უსაფრთხოების მიზნით დაავალა ვა-----ის გვამზე დაეკიდათ დიდი ქვა და ჩაეგდოთ წყალში. 2018 წლის 7 თებერვალს კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ამ----რი და ალ----კი იმავე ბარში, რა დროსაც ალ----კის დავალებით მკვლელობის იარაღის შესაძენად მისმა შვილმა 1200 ლარი გადასცა ამ--რის.⁵⁸

სასამართლოს სამართლებრივი შეფასება:

სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებლის მიერ სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობა დანესებულია დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისათვის. ამ დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელია სუბიექტის განზრახვა ქმედების (მოქმედების ან უმოქმედობის) შედეგად დანაშაულებრივი შედეგის დადგომა-სიკვდილის სახით. ასევე აუცილებელია მიზნობრივი კავშირის არსებობა ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ

⁵⁸ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო, განაჩენი, საქმე 1/15---18

შედგეს შორის. რაც შეეხება დანაშაულის მოტივს, იგი მრავალფეროვანია და შესაძლებელია აღმოცენდეს მაგალითად: შურისძიების, ეჭვიანობის, შელაპარაკების ნიადაგზე. აღნიშნული დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოებაა ქმედების ჩადენა შეკვეთით.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩასადენისათვის პირობების განზრახ შექმნა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობა დანესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების, აგრეთვე ამ კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 194¹ გათვალისწინებულ დანაშაულების მომზადებისათვის“.⁵⁹ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უტყუარად მიაჩნია, რომ ალ----კმა ყველა პირობა შექმნა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩასადენად-დანაშაულის ჩასადენად დახმარებისათვის მიმართა ამ---რს, დაავალა მკვლელის მოძებნა და შეუკვეთა მას მკვლელობა, აწარმოებდა მასთან მოლაპარაკებებს ვა-----ის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, განიხილავდა მკვლელობის დეტალებს, დავალების შესრულების შემდეგ გვამის მოცილების გეგმას, გადასცა მას იარაღის შეძენისათვის განკუთვნილი ფულადი თანხა, მიანოდა ინფორმაცია ობიექტის საცხოვრებელი სახლის, მობილური ტელეფონისა და პიროვნების მახასიათებლების შესახებ. დაადგინა თუ როგორ უნდა მოეძებნა მისი გვერდი სოციალურ ქსელში, გადასცა მისი ფოტოსურათი, ითხოვდა საქმის სუფთად შესრულებას და საქმის დასრულების შემდეგ შეკვეთის წარმატებით შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებას (მოკლურის ფოტოსურათებს). ამდენად ზემოაღნიშნული გარემოებები ცალსახად მიუთითებს, რომ ალ----კმა შეასრულა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის- მკვლელობის შეკვეთით მომზადებისათვის აუცილებელი ყველა პირობა.

ამდენად, ბრანდების მხარის მიერ წარმოდგენილ მონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობის საფუძველზე

⁵⁹ სისხლის სამართლის კოდექსი, თბ.,1999.

სასამართლოს დადგენილად მიიჩნია, რომ ალ---კმა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 18-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიტ გატვალისწინებული დანაშაული, შეკვეთით განზრახ მკვლელობის მომზადება, რომლისთვისაც იგი ცნობილი უნდა იქნეს დამნაშავედ.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მომზადებისათვის მსჯავრი უნდა დაედოს ალ---კს, სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს-თავისუფლების აღკვეთას თექვსმეტიდან ოც წლამდე ვადით ან ვადო თავისუფლების აღკვეთას. ამდენად, სასამართლო იმჯელებს და შეათვასებს ალ---კის პიროვნულ მახასიათებლებისა და ჩადენილი ქმედებების გატვალისწინებით, სასჯელის რომელი ზომა იქნება პროპორციული/ტანაზომიერი და უზრუნველყოფს სასჯელის მიზნებს.

სასამართლოს საჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს ბრალდებულების ალ-----კის მიერ ჩადენილ ქმედებების საზოგადოებრივ საშიშროებასა და ხასიათს (ალ---კმა ჩაიდინა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის მომზადება, რაც განსაკუთრებული საშიშროების მატარებელია), ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს (ალ---კმა ამ-----რის დაავალა ეპოვა მკვლელი, რომელიც გასამჯელოს მიღების სანაცვლოდ მოკლავდა ვა-----ს), ბრალდებულის ქმედებებში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას (მის სურვილს, მისწრაფებას მოეძენა მკვლელი, რომელიც მოკლავდა ვა-----ს), მის პირად და ეკონომიკურ პირობებს (ბრალდებული საქართველოში დაკავებულია ბიზნეს საქმიანობით, გააჩნია დროებითი საცხოვრებელი, ხოლო სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მისი პირადი და ეკონომიკური პირობების შესახებ მტკიცებულებებში არ მოიპოვება), დანაშაულის ჩადენის მოტივს და მიზანს (შურისძიება/ვა-----ის სიცოცხლის მოსპობა).

(შურისძიება/ვა-----ის სიცოცხლის მოსპობა).⁶⁰

ზემოაღნიშნული სასამართლო პრაქტიკიდან მოყვანილ მაგალითში ნათლად ჩნას, დანაშაულის მომზადებისათვის პირობების განზრახ(დაკვეთით) შექმნა.

⁶⁰ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო, განაჩენი, საქმე 1/15---18

მკვლევლობის ჩასადენად იყო პირობები შექმნილი, როგორ დაუკავშირდა ალ---კი ამ--რის, როგორ დავალა რომ ეპოვა ვინმე ვინც სისრულეში მოიყვანდა ჩანათიქრს, ასევე ასევე მკვლევლობის ჩასადენად როგორ გადასცა ფული რომ ეყიდა იარაღი ასევე მკვლევლობის ჩადენის შემთხვევაში გვამის გადამალვის გეგმაზე, გვამზე დაეკიდათ დიდი გვა და წყალში გადაეგდოთ. ყოველივე ეს სასამართლომ სწორად შეათვასა მომზადებად, რადგან სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა“.⁶¹ აქედან გამომდინარე სასამართლომ სწორად შეათვასა საქმეში მოყვანილი მტიცებულებები და ბრალდებულს მიუსაჯა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18,109-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელი.

2.2. დანაშაულის მცდელობის ცნება და ნიშნები

დაუმთავრებელი დანაშაულის მეორე სტადიას დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანაშაულის მცდელობად ითვლება, განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.⁶² „დანაშაულის მცდელობა ყველა შემთხვევაში გვექნება, როცა განზრახული შედეგი ვერ განხორციელდა, მიუხედავად მიზეზისა, რომელმაც ხელი შეუშალა ამ შედეგის გამოწვევას.“⁶³ „დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც განხორციელებულია სუბიექტის მიერ განზრახი დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი. დამთავრებულ დანაშაულს, ამგვარად, ორი

⁶¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 18

⁶² საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 19

⁶³ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 243

მომენტი ახალიათებს: 1. განხორციელებული უნდა იყოს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი დანაშაულის ყველა ნიშანი და 2. განხორციელებული უნდა იყოს სწორედ იმ დანაშაულის ნიშნები, რომლის შესრულებაზეც მიმართული იყო დამნაშავის ნება.“⁶⁴

„მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე, უეჭველად წარმოადგენს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების საფრთხეს. რეალური საფრთხე არსებობს მაშინ, როდესაც ობიექტურ სინამდვილეში მოცემულია პირობები, რომელთაც აქვთ ტენდენცია ვნების გამოწვევისა. მოქმედება უშუალოდ მიმართული დანაშაულის განხორციელებაზე, სწორედ ასეთი ტენდენციას შეიცავს, ასეთ მოქმედებას კანონზომიერად შეიძლება მოჰყვეს დანაშაულებრივი შედეგი, თუ მის განხორციელებას ხელი არ შეუშალა რაიმე შემთხვევითმა გარემოებამ.“⁶⁵

„ამავე დროს, მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის განხორციელებაზე, უშუალოდ წინ უსწრებს დანაშაულებრივი შედეგის დადგომას. იმიტომ რომ მიზეზობრივი კავშირის სხვა მიმართულებით განვითარების შესაძლებლობა აქ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე დანაშაულებრივი საქმიანობის განვითარების სხვა, შედეგიდან დაშორებულ სტადიებზე.

და ბოლოს ის გარემოება, რომ დამნაშავემ ისეთი მოქმედება ჩაიდინა, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე, ადიდებს დანაშაულებრივი შედეგის რეალურად განხორციელების შანსებს იმ მხრივაც რომ ამ მომენტიდან სუსტდება დანაშაულის ხელისშემშლელი მოტივების ძალა და პირიქით, იზრდება დანაშაულის ხელშემწყობი მოტივების სიძლიერე.“⁶⁶

ამგვარად, „მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის განხორციელებაზე“, უნდა იქნეს გაგებული ობიექტურად. ეს იმას ნიშნავს რომ დამნაშავის მოქმედების შესრულება, არამართო სუბიექტის წარმოდგენაში, არამედ

⁶⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ.115

⁶⁵ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები ტ I, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ. 431

⁶⁶ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები I ტომი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ.431-432

რეალურად იწყებს დანაშაულის განხორციელებას. ეს ისეთი მოქმედებაა, რომელსაც კანონზომიერად უნდა მოჰყოლოდა დანაშაულებრივი შედეგი.⁶⁷

„ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში დანაშაულის მცდელობა გაიგება, როგორც დამნაშავის გაზრახი საქმიანობა, რომელიც უშუალო საფრთხეს უქმნის დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ სიკეთეს, მაგრამ იგი არ იწვევს მის დაზიანებას“⁶⁸, დანაშაული მცდელობა, როგორც თვითონ ტერმინი მიგვანიშნებს, განზრახი ქმედებაა და დანაშაულის ჩასადენად უშუალოდაა მიმართული, თუმცა დანაშაული არ სრულდება სხვადასხვა მიზეზების გამო, ზოგჯერ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და ზოგჯერ კი დამნაშავის გამო.⁶⁹

„მაშასადამე, დანაშაულის მცდელობის არსი პოზიტიურ ნიშნებზე და ნეგატიურ ფაქტორებზე დაყრდნობით გაიგება. დანაშაულის მცდელობის პოზიტიურ ნიშნებში იგულისხმება სსკ-ის მე-19 მუხლში აღწერილი ობიექტური და სუბიექტური ნიშნები, რომლებიც საფუძვლად უდევს მცდელობის დასჯადობას. რაც შეეხება ნეგატიურ ფაქტორს, ის მე-19 მუხლის ფარგლებს გარეთაა და გულისხმობს იმ მიზეზებს, რომლებიც ქმედების ბოლომდე განუხორციელებლად უდევს საფუძვლად.

ასეთი მიზეზები შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ორ ჯგუფად, პირველი, როდესაც შედეგის მიუღწევლობა განპირობებულია დამნაშავისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, და მეორე, როდესაც შედეგი უშუალოდ დამნაშავის მიზეზით არ ხორციელდება.“⁷⁰

„1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, 1999 წლის კოდექსში დანაშაულის მცდელობის ცნება სხვაგვარად არის განსაზღვრული. 1960

⁶⁷ იხ. იქვე, გვ., 435

⁶⁸ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 99,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.05.2019

⁶⁹ თ. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის პრობლემები ტ. III, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 242

⁷⁰ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 99,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.05.2019

წლის კოდექსის მე-17 მუხლის მიხედვით დანაშაულის მცდელობა არის განზრახი მოქმედება. რომელიც უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ შედეგი ვერ განხორციელდა დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.⁷¹

„ საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, ქმედება დანაშაულის მცდელობად მაშინ ფასდებოდა, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი არ მიიღწეოდა „დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“. მცდელობის დასახელებული განმარტებისაგან განსხვავებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა მცდელობის განსაზღვრებაში დანაშაულებრივი შედეგის მიღწევლობის მიზეზებზე ზოგად დათქმას არ აკეთებს. 1999 წლის სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობის მე-19 მუხლის ტექსტიდან ამ დათქმის ამოღებით კანონმდებელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ მცდელობას ადგილი აქვს ნებისმიერ შემთხვევაში და იგი არსებობს იმისდა მიუხედავად, დანაშაულებრივი შედეგი განხორციელდება დამნაშავის მიზეზით თუ მისგან დამოუკიდებლად. ამასთან, კანონმდებელი თავისი გადაწყვეტილებით შეეცადა დასჯადი და არადასჯადი მცდელობის ერთმანეთისგან გამიჯვნას, ასევე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტით მცდელობის გადათარგვას. მაშასადამე, საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლში კანონმდებელმა სხვა გზა აირჩია და უარი თქვა დანაშაულებრივი შედეგის გამონწვევის ხელისშემშლელი მიზეზების დასახელებაზე.“⁷²

ა. გაბაიანი და „სხვები“ აღნიშნავენ, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილი არათერს ამბობს, იმაზე, თუ რამ განაპირობა ან ვინ, რომ შედეგი არ დადგა. ამგვარი შეხედულება სწორედ უნდა ჩაითვალოს, საკითხი რომ კარგად გავიგოთ, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ დასჯადი და

⁷¹ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ., 243

⁷² ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ.100, ი, დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ. 160,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.05.2019

არადასჯადი მცდელობა, რადგან ამ საკითხის განუხილველობამ შეცდომაში შეიყვანა წინამორბედი სსკ-ის კანონმდებელი და ათქმევინა რომ თუ ქმედება არ ისჯება, მაშინ არც მცდელობაზე შეიძლება საუბარი. როგორც მომზადებას, ასევე მცდელობა ადგილი აქვს ყველა შემთხვევაში, იმის და მიუხედავად თუ რა მიზეზმა განაპირობა დანაშაულებრივი შედეგის არ დაგომა, ასევე საკითხი ეხება უნდა დაისაჯოს თ არა ადამიანი, მაგალითად, თუ ა-მ არ დაუმიზნა თოფი ბ-ს მოკვლის მიზნით, რადგან პოლიციამ დროულად განიარაღა, ა დაისჯება მკვლელობის მცდელობისთვის, ხოლო თუ ა-მ ნებაყოფლობით აღარ განახორციელა გასროლა, მაშინაც ადგილი აქვს მცდელობას, მაგრამ ამ მცდელობის დაუსჯელობას განაპირობებს სისხლის სამართალში დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმა.⁷³

ო. გამყრელიძე იგივე აზრს იზიარებს, „მოქმედი კოდექსის მე-19 მუღში სიტყვები დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღარ გზვდება. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის მცდელობა ყველა შემთხვევაში გვექნება, როცა განზრახული შედეგი ვერ განხორციელდა, მიუხედავად მიზეზისა, რომელმაც ხელიშეუშალა ამ შედეგის გამოწვევას. მე-19 მუხლის ფორმულირების მიხედვით მცდელობა გვაქვს მაშინაც, როცა დამნაშავე შეიპყრეს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი და ამის გამო დანაშაული ბოლოდმე ვერ მიიყვანა და მაშინაც, როცა მან თავისი ნებით აიღო ხელი დანაშაულის ბოლოდმე მიყვანაზე.“⁷⁴ ამიტომ, საფუძველს მოკლებულია ის აზრი, რომ „არსებობს დაუმთვრებელი დანაშაულის სამი სახე გაუგებელია, 1. დანაშაულის მომზადება, 2. დანაშაულის მცდელობა, 3. ნებაყოფლობით ხელის აღება.“⁷⁵ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ხდება მომზადებისა და მცდელობის სტადიაზე და ამიტომ დაუმთავრებელ დანაშაულის დამოუკიდებელ სახესთან არ გვაქვს საქმე. აქედან გამომდინარე 1960 წლის კოდექსის მე-17 მუხლის ფორმულირება, ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში დღესაც

⁷³ ა. გაბაიანი და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2007, გვ., 160-161

⁷⁴ ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2013, გვ. 243

⁷⁵ ჰ. დათუაშვილი, ა. კვაშილავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2003, გვ., 88

პოპულარობით სარგებლობს. თ. ფანჯიკიძე ამტკიცებს რომ დანაშაულის მცდელობის დროს „დანაშაულის ბოლომდე მიყვანა არ ხერხდება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იმიტომ, რომ თუ პირი თავისი ნებით შეწყვეტს დანაშაულის ბოლომდე მიყვანას, სახეზე გვექნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.“⁷⁶ „დანაშაულის მცდელობა მოსამზადებელ მოქმედებასა და დამთავრებელ დანაშაულს შორისაა, მოსამზადებელი მოქმედებისაგან ეს იმით განსხვავდება, რომ მცდელობა უშუალოდ არის მიმართული დანაშაულის ჩასადენად. მცდელობა არის კონკრეტული საფრთხის შემქმნელი მოქმედება, ხოლო მომზადება აბსტრაქტული საფრთხეს ქმნის. რაც შეეხება დამთავრებულ დანაშაულს, აქ საფრთხე უკვე რელიზებულია, დამთავრებული დანაშაულის დროს, არსებობს არა მარტო ობიექტის დაზიანების საფრთხე, არამედ უკვე რელიზებული ზიანი, ხოლო დანაშაულის მომზადების დროს ობიექტის დაზიანების უშუალო საფრთხე ჯერ კიდევ არ არსებობს.“⁷⁷

„ამრიგად, იმისდა მიუხედავად, რომ დანაშაულის მცდელობა არის დაწყებული, მაგარმ მცდელობა მაინც არ არის დამთავრებული დანაშაული. იგი დაშორებულია შედეგის დადგომასთან. ამიტომაც არის, რომ სისხლისსამართლებრივად დასჯადია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში გათვალისწინებული ყველა დანაშაულის მცდელობა, მიუხედავად მათი სიმძიმისა.“⁷⁸

„დანაშაულის მცდელობა უკეთ რომ გავიგოთ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ, ერთის მხრივ, დამთავრებული დანაშაულისგან, ხოლო მორე მხრივ დანაშაულის მომზადებისგან. დანაშაულის მცდელობა დამთავრებული დანაშაულისგან იმით განსხვავდება, რომ დამთავრებული დანაშაულის დროს ობიექტური შემდგენლობის ყველა ელემენტი შესრულებულია, ხოლო მცდელობის

⁷⁶ თ. ფანჯიკიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2003, გვ., 58

⁷⁷ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“, თბ., 1961, გვ. 102

⁷⁸ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 220

დროს ბოლომდე არ არის განხორციელებული ობიექტური შემადგენლობის ელემენტები⁷⁹.

„დანაშაულის მცდელობა მომზადებისაგან იმით განსხვავდება, რომ როგორც ვიცით მომზადება გულისხმობს პირობების განზრახ შექმნას მომავალში დანაშაულის ჩასადენად ანდა მისი ჩადენის გაადვილებას, ხოლო მცდელობა წარმოადგენს უშუალოდ მართლსაწინააღმდეგო შედეგის განსახორციელებად მიმართულ ქმედებას.“⁸⁰

სისხლის სამართლის კოდექსი კერძო ნაწილში გათვალისწინებული ყველა შემადგენლობა მცდელობას სჯის. სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ იყო მიმართული დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.“⁸¹ ამგვარად, კანონი დანაშაულის მცდელობის შემდეგ ნიშნებს ითვალისწინებს.

1. პირის ქმედება მიმართულია კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად;
2. დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარე სრულად არაა განხორციელებული;
3. პირს დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების მიმართ განზრახვა ამოძრავებს.⁸²

2.2.1. მცდელობის ობიექტური მხარე

დანაშაულის მცდელობის ობიექტური მხარე ხასიათდება ორი ნიშნით:

1. მოქმედება (უმოქმედობა) უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად;
2. დანაშაული არ არის დასრულებული, ე.ი. არაა ბოლომდე მიყვანილი დანაშაული.

⁷⁹ იქ, იქვე თ. დინჯაშვილი, თბ., 2007, გვ.220

⁸⁰ თ. დინჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 221

⁸¹ სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 19

⁸² ქ. მჭედლიშვილი-ჭედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., გამომც. მერიდიანი, 2011, გვ. 35

ბევრ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენა ხდება მოქმედებით, მაგრამ არსებობს გამონაკლისები შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი მატერიალური დანაშაულის მცდელობა ჩადენილი იყოს უმოქმედობითაც. მაგალითად: დედა, განზრახ მოკვლის მიზნით არ აწოვებს ძუძუს მცირეწლოვან შვილს, მაგრამ სხვების ჩარევის შედეგად ჩვილი გადარჩება. ამ შემთხვევაში იქნება განზრახი მკვლელობის მცდელობა უმოქმედობით. რაც შეეხება წმინდა უმოქმედობის დროს, დანაშაულის მცდელობა შეუძლებელია.⁸³

ისევე როგორც მოქმედება ასევე უმოქმედობაც მიმართული უნდა იყოს უშუალოდ დანაშაულის ჩადენაზე, რაც ნიშნავს რომ პირმა უკვე დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების აღსრულება.

მცდელობა გვაქვს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ჩაიღინა მოქმედება, რომელსაც მისი მხრივ რაიმე ახალი მოქმედების განხორციელების გარეშე უნდა მოჰყოლოდა დანაშაულებრივი შედეგი, მაგრამ ეს შედეგი არ განხორციელდა, მაგალითად: პეტრემ მოკვლის განზრახვით თოფი ესროლა პავლეს, მაგრამ ვერ მოახვედრა.⁸⁴

მცდელობა გვაქვს მაშინაც, როდესაც პირი უშუალოდ დაესხა თავს ხელყოფის ობიექტს და თავისი განზრახვის განხორციელებას შეუდგა, მაგრამ დამნაშავემ ვერ დაამთავრა მოქმედება. მაგალითად: გაძარცვის მიზნით პირმა ხელი სტაცა მგზავრის ჩემოდანს, მაგრამ მისი დაუფლება ვერ შეძლო, ვინაიდან ნივთის მფლობელმა არ დაანება იგი.

მცდელობა იქნება აგრეთვე მაშინ, როდესაც დამნაშავემ ამზადებს ყველა პირობას დანაშაულის ჩასადენად და უკვე იწყებს უშუალოდ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას, მაგრამ სასურველ მიზან ვერ მიაღწია. მაგალითად, მოკვლის მიზნით პირმა თოფი განზრახ დაუმიზნა მეორე პირს, მაგრამ სროლის მომენტში ქუჩაში მოსიარულე პირმა ხელი აუკრა თოფს.⁸⁵

⁸³ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.,221

⁸⁴ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.,221

⁸⁵ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ.,222

„მცდელობა გვაქვს ასევე როდესაც განხორციელებული იქნება დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი ნიშანი. მაგალითად, თუკი დამნაშავემ გაუპატირების მიზნით ხელ-ფეხი შეუკრა დაზარალებულს ან მისცა დასაძინებელი წამალი, საქმე გვექნება გაუპატირების მცდელობასთან, რადგანაც გაუპატირების ობიექტური შემადგენლობის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს ფიზიკური ძალადობა, მუქარა ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენება.“⁸⁶

მცდელობად ითვლება ასევე ისეთი მოქმედება, როდესაც დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო არ მოყვა მართლსაწინააღმდეგო შედეგი. ასეთი შედეგი შეიძლება იყოს დანაშაულის ჩასადენად ამორჩეული საშუალების უვარგისობა, დამნაშავის დაკავება და სხვა.

მცდელობა გვექნება ასევე დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობის ხელის აღებაზე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლში მოცემულია დანაშაულის მცდელობის ახლებული გაგება. კერძოდ, პასუხს აგებს ის ვინც დანაშაულის მცდელობისთვის თავის განზრახ ქმედებას უშუალოდ წარმართავს დანაშაულის ჩასადენად. ხოლო ახალი კანონმდებლობა უპირატესობას ანიჭებს მცდელობისას, იმას რომ დანაშაული ბოლომდე არ იყო მიყვანილი. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თუ ვისი მიზეზით არ იქნა დანაშაული ბოლომდე მიყვანილი. ახალმა კოდექსმა უარი თქვა ძველი კოდექსის ფორმულირებაზე, რომლის მიხედვითაც დანაშაული ბოლომდე არ უნდა იყოს მიყვანილი „დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“. აქედან გამომდინარე მცდელობა გვექნება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი. თუმცა ასეთ შემთხვევაში გამორიცხულია პირის პასუხისმგებლობა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლისა.

⁸⁶ იხ. იქვე, გვ., 222

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ამ მოქმედებისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე ჩაყენებულია ზიანის მიყენების საფრთხის ქვეშ.⁸⁷

თ. წერეთელი თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ მცდელობის ცნება, რომელიც გამოიხატება განზრახ ქმედებაში და რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე, უეჭველად წარმოადგენს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების რეალურ საფრთხეს.⁸⁸

დანაშაულის მცდელობა არის მოსამზადებელ მოქმედებასა და დაუმთავრებელ დანაშაულს შორის. ეს იმით განსხვავდება, რომ მცდელობა მიმართულია უშუალოდ დანაშაულის ჩასადენად. ამრიგად დანაშაულის მცდელობა არის კონკრეტული საფრთხის შემქმნელი მოქმედება, ხოლო მომზადება ქმნის აბსტრაქტულ საფრთხეს. ხოლო რაც შეეხება დამათავრებულ დანაშაულს აქ საფრთხე უკვე განხორციელებულია.

ზოგჯერ კანონმდებელს დანაშაულის დამთავრების მომენტი კოდექსის კერძო ნაწილის მუხლის წინა ეტაპზე გადააქვს, კერძოდ დანაშაულის მცდელობის სტადიაზე, მაგალითად: ყაჩაღობა 179-ე მუხლის თანახმად არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად. მაშასადამე, თავდასხმა რომელიც უნდა იყოს მცდელობა, უკვე დამთავრებული დანაშაულია.⁸⁹

მაშასადამე, ო. გამყრელიძე ობიექტური თეორიიდან მხარ უჭერს საფრთხის თეორიას, იგი საფრთხეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან იგი იძლევა მცდელობის კარგად დასაბუთებისა და მათ გამიჯვნას მომომზადებისაგან და დამთავრებული დანაშაულისგან. ამ თეორიის თანახმად, საფრთხე წარმოადგენს ობიექტურ მაშტაბს, რომლის გარეშეც შეუძლებელია მცდელობის საკითხის გადაწყვეტა. აღნიშნული თეორია იმსახურებს ყურადღებას, თუმცა მას, როგორც ყველა სხვა ობიექტურ თეორიას არ შესწევს უნარი დაასაბუთოს უვარგისი მცდელობის დასჯადობის საკითხი. გარდა ამისა, პროფ. ო. გამყრელიძის მითითება

⁸⁷ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ., 222-223

⁸⁸ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, გამომც. თბ., „საქართ სსრ მეცნიერებათა აკადემია“, 1961, გვ., 126

⁸⁹ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 244

რომ დამთავრებულ დანაშაულებში საფრთხე უკვე რეალიზებულია, არ შეიძლება იქნეს გაზიარებული, რადგან, როგორც უკვე ვიცით სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მოცემლია საფრთხის შემქმნელი დელიქტები, სადაც საფრთხე, როგორც აბსტრაქტული, ასევე კონკრეტული სახით წარმოადგენს დამთავრებული დელიქტების დასჯადობის საფუძველს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მცდელობასა და დამთავრებულ დანაშაულებში საფრთხე ვერ გამოდგება გამიჯვნის კრიტერიუმად, აქვე უნდა ვთქვათ, რომ ვერც მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნის დროსაც გამოგვადგება საფრთხე კრიტერიუმად.⁹⁰

„დანაშაულის მცდელობისას სამართლით დაცულ ობიექტს ექმნება რეალური საფრთხე, რამდენადაც პირი უკვე ახორციელებს მის მიერ ჩაფიქრებული დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს. აქედან გამომდინარე ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული დანაშაულის ობიექტურ მხარეს, რადგან ერთი და იგივე მოქმედება შეიძლება არ იყოს დანაშაულის ობიექტური მხარის შემადგენელი ნაწილი. ამიტომ ჩადენილი ქმედება შეიძლება შეფასდეს სხვადასხვა დანაშაულთან მიმართებაში მომზადებად ან მცდელობად. მაგალითად, ბინაში შეღწევა ქურდობის მიზნით უნდა დაკვალიფიცირდეს მცდელობად, მაგრამ იგივე მოქმედება მკვლელობის მიზნით, ჩაითვლება დანაშაულის მომზადებად.“⁹¹

კანონმდებელი მცდელობის გამოყენებისას მიუთითებს დანაშაულის ბოლომდე მიუყვანლობაზე, აქ იგილისხმება არა მხოლოდ ის რომ ადამიანმა ყველაფერი გააკეთა გარდა შედეგისა, არამედ ქმედება რომელიც მან განიზრახვა სრული მოცულობით არ ჰქონდეს გაკეთებული. მაგალითად, თუ დამნაშავის ნასროლი ტყვია დაზარალებულს ასცდა, მკველობის შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშანი ყველა განახორციელა მაგრამ შედეგი არა. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს

⁹⁰ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, გამომც: „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 244, ლ.ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 135-136

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.05.2019

⁹¹ ა. გაბიანე და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ., 161-162

დამთავრებულ მცდელობას, მაგრამ თუ თოფის დაზიანებისას მას იარაღი წაართვის, მკვლელობის შემადგენლობაში სრულიად არ განხორციელებულა შედეგი და ნაწილობრივ არ შესრულებულა ქმედება, რადგან დამნაშავეს ხელი არ გამოუკვრია სასხლეტისათვის, ამიტომ სახეზე გვექნება დაუმთავრებელი მცდელობა.⁹²

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, პროფ. თ. წერეთელი ასკვნის, რომ მცდელობის ცნებაში უნდა მოვიაზროთ მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის განხორციელებაზე და გაგებული უნდა იქნეს ობიექტურად და არა სუბიექტურად, აქედან გამომდინარე დანაშაულის მცდელობის სახეებად დაყოფა უნდა ხორციელდებოდეს ობიექტური ნიშნით.⁹³

როგორც უკვე ავლნიშნეთ დანაშაულის მცდელობის სუბიექტური მხარე მოცემულია სრულყოფილად, მცდელობის ობიექტური მხარე კი ხარვეზებით ხასიათდება. პროფ. ე. მჭედლიშვილ -ჰედრის სრულყოფილად აქვს ჩამოყალიბებული ეს ხარვეზები:

1. როდესაც პირმა დანაშაულის მომზადება დაასრულა და უშუალოდ მის განხორციელებაზე გადადის, მაგრამ მიზანს ვერ (ან არ) აღწევს, რადგან მას ხელი უშლიან ან დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე თვითონ ამბობს უარს. მაგალითად: როდესაც პირი თოფს უმიზნებს მსხვერპლს მოკვლის განზრახვით და ასევე როდესაც პირს უკვე დანა მიღებული აქვს ყელზე მოკვლის განზრახვით, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრებს.
2. პირმა ქმედება განახორციელა, რომელიც თავისთავად შედეგი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მას ობიექტური მიზეზები ხელს უშლიან დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე. მაგალითად: პირმა მოკვლის მიზნით ქუჩაში დაჭრა პირი, ქუჩაში მყოფმა ერთ-ერთ გამლელმა დაინახა და საავადმყოფოში წაიყვანა და ეს დაჭრილი პირი გადარჩა.

⁹² ა. გაბიანე და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ., 162

⁹³ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, გამომც. „საქართველო სსრ მეცნიერებათა აკადემია“, თბ., 1961, გვ., 128-152

3. ასევე, როდესაც პირმა დანაშაულის დამთავრება ვერ მოახერხა, რადგან მას უვარგისი იარაღი აქვს ან დანაშაულის ობიექტის გამო. მაგალითად: დამნაშავემ, როდესაც ესროლა პირს მოკვლის განზრახვით აღმოჩნდა რომ ის უკვე მკვდარი იყო. ასევე როდესაც პირის მიერ ნაყიდი საწამლაფი არ აღმოჩნდა საწამლაფი.
4. დანაშაულის ჩასადენად მიმართული ქმედების საშუალებით ობიექტურ სამყაროში ცვლილების გამოწვევა შეუძლებელია. მაგალითად: როდესაც პირი მივა მკითხავთან და აკეთებინებს ჯადოს სხვა პირის მიმართ, მისი მოკვლის მიზნით.
5. მცდელობას ადგილი აქვს ასევე მაშინ, როდესაც პირის ქმედებით დადგება სასურველი შედეგი, მაგრამ ობიექტურად (ან სუბიექტურად) შედეგი პირს არ შეერაცხება. მაგალითად: პირი მკვლელობის განზრახვით ესვრის და დაჭრის დაზარალებულს. სასწრაფო მანქანა, რომელსაც იგი სავადმყოფოში გადაყავს გზიდან გადავარდება და ამობრუნდება. რის შედეგად დაზარალებული დაიღუპება. პირს ობიექტურად მისი სიკვდილი არ შეერაცხება, რადგან მან გასროლით შედეგად მიაყენა სასიკვდილო ჭრილობა და არა ავარიაში დაღუპვის საფრთხე. „თუ ობიექტური შერაცხვის სამართლებრივ ფიგურას არ ვაღიარებთ, პასუხიმგებლობა დამდგარი სასიკვდილო შედეგისათვის გამოირიცხება პირის განზრახვით მოცული მიზნობრივი კავშირის და არსებული მიზნობრივი კავშირის არსებითი განსხვავების გამო, ანუ სუბიექტური შერაცხვის სამართლებრივი ფიგურის მოშველებით.“ აქედან გამომდინარე ორივე შემთხვევაში პირი დაისჯება დანაშაულის მცდელობისთვის.
6. ქმედება მცდელობად შეიძლება დაკვალიფიცირდეს მაშინაც, როდესაც პირი მართალია ობიექტურად აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ მან არაფერი იცოდა. კლასიკური შემთხვევაა მაგალითად: გერი კლავს მამინაცვალს, რომელიც გადახრილია მძინარე ცოლის საწოლისაკენ და მას ახრჩობს. გერმა არ იცის, რომ იგი ამ

მოქმედებით საკუთარ დედას იხსნის სიკვდილისაგან. გერის მოქმედება აუცილებლად მოგიერებად არ ჩაითვლება, რადგან იგი სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზნით არ მოქმედებს. შედეგის უღირსობის არარსებობის გამო მას უმართლობა მაინც არ ჩაუდენია. ქმედების უღირსობა გვაქვს, ხოლო შედეგის არა. აქ უღირსობა ისეთივე კონსტელაციაა, როგორც მცდელობის დროს.

დანაშაულის მცდელობა სამართლებრივი სიკეთისათვის კონკრეტული საფრთხის შეექმნა. დანაშაულის მცდელობის ერთ-ერთი ნიშანია დანაშაულის ჩადენის აღსრულება, დანაშაულის ობიექტური მხარის განსახორციელებლად მიმართული მოქმედების უშუალოდ დაწყება.⁹⁴

დანაშაულის მცდელობას აქვს როგორც ობიექტური ასევე სუბიექტური ნიშანი. როგორც უკვე ზევით ვისაუბრეთ ობიექტური შემადგენლობა მეტად ხარვეზით ხასიათდება, ხოლო სუბიექტური მხარე კანონმდებლობაში მოცემულია სრულად.

2.2.2. დანაშაულის მცდელობის სუბიექტური მხარე

განზრახვი დელიქტი გულისხმობს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის შესახებ დანაშაულებრივი გადაწყვეტილების მიღებას მისი სრულად განხორციელების ჩათვლით.

როგორც უკვე ვთქვით დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობა ობიექტური შემადგენლობის წინ უნდა შემოწმდეს, რადგან, როცა ცნობილია, რა უნდა დამნაშავეს, შესაძლებელია, უკვე მისი შემდგომი ნაბიჯების დადგენა, რომელიც უშუალო დაწყებამდე მიდის.⁹⁵

⁹⁴ ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., გამომც, „მერიდიანი“, 2011, გვ. 35-37

⁹⁵ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 140,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.05.2019

თ. წერეთელი აღნიშნავს, რომ საფრთხის შემქნელი დელიქტთა შეტანა სისხლის სამართლის კოდექსში ზოგჯერ განპირობებულია იმით, რომ ევენტუალური განზრახვით ჩადენილი მცდელობა, არ შეიძლება იწვევდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ასევე კანონმდებელს არ სურს დაუსჯელად დატოვოს ისეთი შემთხვევები, როდესაც ადამიანი საფრთხეს ქმნის რაიმე სიკეთისათვის, მაგალითად, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ადამიანის სიცოცხლისათვის, ითვალისწინებს და შეგნებულად უშვებს ასეთ შედეგს, მაგრამ შედეგი არ განხორციელდა.⁹⁶

სუბიექტურ მხრივ დანაშაულის მცდელობა არის განზრახვი მოქმედება. ეს აღნიშნულია კიდევაც მე-19 მუხლში. როგორც უკვე ვიცით განზრახვა ორი სახისაა პირდაპირი და არაპირდაპირი. ტრადიციულად სისხლის სამართალში გაბატონებული იყო აზრი, რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი მაგრამ უკანასკნელ წლებში თანდათან იწყო დამკვიდრება იმ აზრმა, რომ დანაშაულის მცდელობა არაპირდაპირი განზრახვითაც შეიძლება.

„როგორც უკვე ვთქვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მიხედვით, მცდელობისათვის საჭიროა განზრახვი ქმედება, რომელიც უშუალოდაა მიმართული დანაშაულის ჩასადენად. უშუალოდ მიმართული არ გულისხმობს მაინცდამაინც პირდაპირ განზრახვას, როგორც ამას საწინააღმდეგო თვალსაზრისის მომხრეები ამტკიცებენ. როგორც ვიცით არაპირდაპირი განზრახვა არის პირის ისეთი ფსიქიკური დამოკიდებულება, როცა მას შესაძლებლად მიაჩნია საზიანო შედეგის დადგომა და არ სურს იგი, თუმცა შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომის ფაქტს. როგორც ჩანს, პირისათვის უკვე ცნობილია თუ მის ქმედებას რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ამ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კოგნიტური ელემენტის არსებობას, რადგან ქმედების საშიშროება განისაზღვრება რა იმით, რომ პირს სურდა შედეგის დადგომა, არამედ ის პირი შესაძლებლად მიიჩნევდა, შეგნებულად უშვებდა მის დადგომას, მაგრამ

⁹⁶ თ. წერეთელი, სისხლის სამართლის პრობლემები, ტ1, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2007, გვ. 350

პირი მაინც მოქმედებდა სხვა პირის საზიანოდ. ასეთ დროს სრულიად შესაძლებელია შედეგის დადგომა, რადგან ამას დმნაშავე ხელს უწყობს შეგნებულად. ამგვარი ქმედება უფრო საშიშია, ვიდრე საფრთხის შექმნა.“⁹⁷

როგორც ვიცით ევენტუალური განზრახვა ორი სახისა:

1. როდესაც პირი ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს მის დადგომას;
2. ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურს, მაგრამ გულგრილად ეკიდება მის დადგომას.⁹⁸

დანაშაულის მცდელობის ასეთმა გაგებამ, როგორც ირკვევა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაშიც მოიკიდა ფეხი. გამოითქვა შეხედულება, რომ ახალი სისხლის სამართლის კოდექსით, მცდელობა შეიძლება არ მხოლოდ პირდაპირი, არამედ არაპირდაპირი განზრახვითაც.⁹⁹

ავტორთა ერთი ჯგუფის აზრით ასეთი დასკვნა არ გამომდინარეობს კოდექსის მე-19 მუხლიდან, სადაც ნათქვამია, რომ დანაშაულის მცდელობა განზრახი მოქმედებაა, რომელიც „უშუალოდ მიმართული უნდა იყოს დანაშაულის ჩასადენად“. სიტყვები „უშუალოდ“ და „მიმართული“, პირდაპირ განზრახვას გულისხმობს.¹⁰⁰

არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით რომ მცდელობა არ შეიძლება, ამან აიძულა კანონმდებელი კოდექსის კერძო ნაწილში შემოეტანა 127- და 128-ე მუხლები. ო. გამყრელიძის მოსაზრებით, საფრთხის შემქმნელი დელიქტები ავსებენ იმ ხარვეზს, რომელიც არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობით წარმოიშობა.¹⁰¹

⁹⁷ თ. ჭკვიანიშვილი, დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობა, თბ., 2017, გვ.25, <http://www.library.court.ge/upload/87462018-04-11.pdf>

⁹⁸ თ. ჭკვიანიშვილი, დანაშაულის მცდელობის სუბიექტური შემადგენლობა, თბ., 2017, გვ.26, <http://www.library.court.ge/upload/87462018-04-11.pdf>

⁹⁹ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 244

¹⁰⁰ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 245

¹⁰¹ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2013, გვ. 245-246

„არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით დანაშაულის მცდელობის განხორციელებას შესაძლებლად მიიჩნევს მ.ტურავა. მისი შეხედულებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის დანიშნულებას არ წარმოადგენს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობით გამოწვეული ხარვეზის შევსება და აღნიშნული მუხლი მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული, როცა დამნაშავეს ადამიანის სიცოცხლის მოსპობის მიმართ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნია, კერძოდ, როცა იგი თვითიმედოვნებით მოქმედებს. მ. ტურავას აზრით, სიცოცხლისათვის კონკრეტული საფრთხის შემქმნელი ქმედების განზრახ განხორციელებისას, დამნაშავე შესაძლოა სამართლებრივი სიკეთის მიმართ გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება ჰქონდეს. უფრო მეტიც, მისი შეხედულებით საქართველოს სსკ-ის 117-ე და 127-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების განხორციელებისას დამნაშავე, მართალია განზრახ მოქმედებს, მაგრამ სიცოცხლის ხელყოფის მიმართ დამნაშავეს ევენტუალური განზრახვაც არ გააჩნია და სასიკვდილო შედეგის მიმართ დამოკიდებულება მხოლოდ გაუფრთხილებლობითია.“¹⁰²

პროფ. თ. დონჯაშვილიც ეთანხმება მ. ტურავას მოსაზრებას, რომ „დანაშაული მცდელობა შეიძლება ჩადენილი იქნეს მხოლოდ განზრახვით. გაუფრთხილებლობით დანაშაულის ჩადენა ფაქტობრივად წარმოუდგენელია. როგორც ის აღნიშნავს, ახლო წარსულში ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში და სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ დანაშაულის მცდელობა შესაძლებელი იყო მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ ქმედებებში, ხოლო ევენტუალური განზრახვის ქმედების კვალიფიკაცია ხდებოდა კონკრეტული დამდგარი შედეგის მიხედვით. ახალმა სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით მცდელობა არაპირდაპირი განზრახვითაც შეიძლება.“¹⁰³

¹⁰² მ.ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, თბ., გამომც., მერიდიანი, 2011, გვ. 298-304, მ. ტურავას მოსაზრებად იზიარებს, თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., გამომც., უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, გვ. 200

¹⁰³ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 225

მაგალითად: ა. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, თავისი ძალის დემონსტრირების მიზნით, ისვრის უმისამართოდ. მას არ სურს გასროლილი ტყვია ვინმეს მოხვდეს, ასევე არც მისი შედეგის დადგომაშია ბოლომდე დარწმუნებული. ამასთან, შეგნებულად უშვებს ან გულგლირად ეკიდება შედეგის დადგომას. ამისდა მიუხედავად, ა-ს გასროლი ტყვია მოხვდა იქვე მდგომ ბავშვს, რომელმაც მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. ასეთ შემთხვევაში, ქმედებას აკვალიფიცირებენ ევენტუალური განზრახვით ჩადენილ მკვლელობის მცდელობად.¹⁰⁴

ასევე საყურდღებოა შემდეგი მაგალითი: ა-მ დანვა თავისი მალაზია დაზღვევის მიზნით. ა-ს მალაზია მდებარეობს კორპუსის პირველ სართულზე, მის ზევით ცხოვრობს ლოგინად ჩავარდნილი ბ, ა ფიქრობს რომ ხანძრის დროს ბ შესაძლებელია მეხანძრეებმა გადარჩინონ და მას არ სურს ბ-ს სიკვდილი, ასევე ა შეგნებულად უშვებს ბ-ს სიკვდილს და შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს არაპირდაპირი განზრახვა. კანონმდებლები თვლიან, რომ თუ შედეგი დადგა, მაშინ გვექნება დამთავრებული დანაშაული და თუ არ დადგა, მაშინ იქნება ევენტუალური განზრახვით ჩადენილი მკვლელობის მცდელობა.¹⁰⁵

არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას უშვებს ასევე ლ. ხარანაული და აღნიშნავს, რომ სსკ-ის მე-19 მუხლის შინაარსზე დაკვირვება აჩვენებს, რომ კანონმდებელი ჯერ მცდელობის სუბიექტურ ელემენტს ასახელებს ტერმინით „განზრახი“, ხოლო შემდეგ მცდელობის ობიექტურ ელემენტს გამოყოფს ფრაზით „ქმედება, რომელიც უშალოდ მიმართულია.“ ეს სუბიექტური მნიშვნელობით არ უნდა იყოს გაგებული, რადგან გამოვა, რომ მცდელობის ცნებაში სუბიექტური ელემენტი ორჯერ იქნება გამეორებული, რაც ნორმის არასწორი ინტერპრეტაციას გვაძლევს. უკანასკნელი ფრაზის შემოღების მიზანი ის არის, რომ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის გამიჯვნა მოხდეს და არა ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის უარყოფა. „აღნიშნული მოსაზრება არ არის გასაზიარებელი. სიტყვა „უშალოდ მიმართული“ ობიექტურ მხარეს კი არ

¹⁰⁴ იქვე, დონჯაშვილი თბ., 2007, გვ. 225

¹⁰⁵ იხ, იქვე, გვ. 225

გამოხატავს, არამედ განზრახვის სახეს აკონკრეტებს, რომლითაც მცდელობა შესაძლებელი.“¹⁰⁶

„ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ალტენატიულ განზრახვა სახეზეა მაშინ, როდესაც დამნაშავეს გააჩნია დამოკიდებულება თანაბარი ღირებულების ობიექტების მიმართ. ამიტომ, ალტენატიული განზრახვის დროს ქმედების სწორად შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტის ღირებულებას. იქ, სადაც ადგილი აქვს ორი თანაბარი სამართლებრივი სიკეთიდან ერთ-ერთი სიკეთის ხელყოფას, ქმედების დანაშაულის მცდელობად შეფასება გამორიცხულია. ანალოგიურად წყდება საკითხი, როდესაც არათანაბარი სამართლებრივი ღირებულების სიკეთიდან დამნაშავე ხელყოფს უფრო დიდი ღირებულების მქონე სიკეთეს. აქედან გამომდინარე ალტენატიული განზრახვის დროს სამართლებრივ სიკეთეთა ღირებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, არამედ, ქმედების შეფასებისათვის მთავარია კონკრეტულად დამდგარი შედეგი, რომელიც გამორიცხავს ქმედების დანაშაულის მცდელობას შეფასების შესაძლებლობას.“¹⁰⁷

პროფ. ე. მჭედლიშვილი ჰედრისი, ეთანხმება იმ მეცნიერებს, რომლებიც თვლიან, რომ დანაშაულის მცდელობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, აქვე მიუთითებს ავტორი, რომ რაც შეეხება ევენტუალური განზრახვით ჩადენილი ქმედება კი კონკრეტურად დამდგარი შედეგის მიხედვით უნდა დაკვალიფიცირდეს. სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ მიზანი მცდელობის აუცილებელი ელემენტია, რადგან ევენტუალური განზრახვის დროს

¹⁰⁶ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 148, თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლიდა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ., გამომც., უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, გვ. 201,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.05.2019

¹⁰⁷ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), გამომც., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 2013, გვ. 154-155,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf 29.05.2019

დანაშაულის შედეგი არ შეესაბამება დამნაშავის მიზანს, ამიტომ ევენტუალური განზრახვით შეუძლებელია მცდელობა.¹⁰⁸

ამ თვალსაზრისით, ევენტუალური განზრახვის დროს ქმედება, დამდგარი შედეგის მიხედვით უნდა დაკვალიფიცირდეს. თუ ევენტუალური განზრახვით განხორციელებულ ქმედებას სასიკვდილო შედეგი მოჰყვა, ქმედება განზრახ მკვლელობად უნდა დაკვალიფიცირდეს (სსკ-ის 108-ე მუხლი). თუ პირის ქმედებამ სასიკვდილო შედეგი არ გამოიწვია, ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდება არა განზრახ მკვლელობის მცდელობად ევენტუალური განზრახვით, არამედ ისევ დამდგარი შედეგის მიხედვით. თუ ქმედების ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვა, გვექნება ჯანმრთელობის დაზიანება, დაზიანების ხარისხის მიხედვით. თუ მსხვერპლი საერთოდ არ დაზიანდა, ქმედება დაკვალიფიცირდება როგორც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება სსკ 127-ე მუხლით.¹⁰⁹

ობიექტური მხარის მსგავსად, ქმედების სუბიექტური შემადგენლობა შემდეგი ელემენტებისაგან შედგება:

1. პირველი და მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვა, რომელიც დანაშაულის ობიექტური მხარის ყველა ნიშანს მოიცავს.¹¹⁰

„განზრახვისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი დანაშაულის ჩადენის მომენტში უნდა არსებობდეს. თუ კი პიროვნებას პირველი აქტის განხორციელების დროს არ ამოძრავებდა დანაშაულის ჩადენის განზრახვა და ასეთი მხოლოდ მეორე აქტის დაწყებამდე წარმოეშვა, პირველი აქტის დანაშაულის მცდელობად არ უნდა შეფასდეს, მაგალითად, პიროვნებამ გაისროლა ბუჩქების მიმართულებით, სადაც მას კურდღელი ეგულებოდა, სინამდვილეში მისი მეზობელი აღმოჩნდა, რომლის დანახვაზე მისი მოკვლის სურვილი გაუჩნდა. დამნაშავის პირველი ქმედება, მართალია, განზრახვით ხასიათდება, მაგრამ ეს ის განზრახვა არ არის, რომელიც

¹⁰⁸ ქ. მჭედლიშვილი ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 71

¹⁰⁹ იხ. იქვე., გვ. 82

¹¹⁰ იხ. იქვე., გვ. 37

საკმარისია ქმედების მცდელობად შეფასებისათვის. ასევე, განზრახვა წინ უნდა უსწრებდეს ჩადენას.¹¹¹

2. მიზანი, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი.

მცდელობის უმართლობას ზოგჯერ მიზანი აფუძნებს და იგი გავლენას ახდენს კვალიფიკაციაზე. მაგალითად. თუ სიბიექტმა არ იცის, რომ ობიექტურად იმყოფება მოგერიების მდგომარეობაში და ამიტომ არ აქვს თავდაცვის მიზანი, ასეთ შემთხვევაში სამართლებრივი სიკეთის ხელყოფისათვის იგი დაისჯება დამთავრებული დანაშაულისათვის ან დანაშაულის მცდელობისათვის.¹¹²

გარდა ამისა, პიროვნების მიზნის განსაზღვრა შესაძლებელს ხდის ვამტკიცოთ, რომ ადგილი აქვს არა დამთავრებულ დანაშაულს, არამედ დანაშაულის მცდელობას. მაგალითად. ა. ესვრის ბ-ს და ჯანმრთელობას მძიმედ დაუზიანებს. ქმედების სწორად კვალიფიკაციისთვის საკმარისი არ არის შედეგის დადგომა არამედ აუცილებელია გაირკვეს, თუ რა მიზნით მოქმედებდა დამნაშავე. იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავე მოქმედებდა ბ-ს მოკვლის მიზნით, ა-ს ქმედება უნდა შეფასდეს განზრახ მკვლელობის მცდელობად.¹¹³

ამრიგად, მიზანსა და მოტივს დიდი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულის სტადიების და ეტაპების გარკვევის საქმეში. მოტივი და მიზანი ხშირად გვეხმარება, იმაში რომ გავიგოთ რომელ ეტაპზე იმყოფება ქმედება, მომზადებისა თუ მცდელობისას, ასევე დამთავრების, დასრულების, თუ ნებაყოფლობით ხელის აღების ეტაპზე. მოტივს და მიზანს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, დაკვალიფიცირების ეტაპზე. აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ დანაშაულის დამთავრებულად გამოცხადების დროს არ არის

¹¹¹ ლ.ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 143,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf უკანასკნელად იქნა გადამონწმეული 29.05.2019

¹¹² მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-9 გამოცემა, თბ., გამომც., „მერიდიანი“, 2013, გვ. 63

¹¹³ ლ.ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ.143,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf უკანასკნელად იქნა გადამონწმეული 29.05.2019

დამოკიდებული დამნაშავემ მიაღწია თუ არა სასურველ მოტივს და მიზანს. მაგალითად. ანგარებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის დამთავრებულად გამოცხადებისათვის, აუცილებელი არ არის დამნაშავემ მიიღოს რაიმე გამორჩენა, არამედ მთავარია, რომ მისი ქმედება ანგარებით იყოს მოტივირებული.¹¹⁴

დანაშაულის მცდელობის დროს მისი ჩადენის გადაწყვეტილება საბოლოო უნდა იყოს. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა გამოირიცხება მაშინ, როცა პირი ყოყმანობს, შეასრულოს თუ არა მოქმედება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დანაშაულის მცდელობისათვის „სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში მიიღება გარემოება, რომელთა გამო დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.“¹¹⁵

უდავო თავისუფლების აღკვეთა არ შეიძლება დაინიშნოს დანაშაულის მცდელობისათვის¹¹⁶

2.2.3. მცდელობის სახეები

დანაშაულის მცდელობა შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა მოქმედებებში. ზოგიერთი მათგანი დაშორებულია შედეგს, ხოლო ზოგიერთი შეიძლება ისეთი ახლოს იყოს შედეგთან, რომ დანაშავეს აღარ მოუნდეს, რომ სხვა მოქმედება განახორციელოს. აქედან გამომდინარე იურიდიულ ლიტერატურაში და კანონმდებლობაში აღვილი აქვს მცდელობის სახეების კლასიფიკაციას.

ა. გაბიანი და „სხვები“, როგორც აღნიშნავს, „ადამიანის მიზანმიმართული საქმიანობა რთული პროცესია, რომელიც განვითარების განსხვავებულ ეტაპებს მოიცავს. გამონაკლის არც დანაშაულის განხორციელება წარმოადგენს, რომელიც

¹¹⁴ ლ. ხარანაული, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), თბ., გამომც., „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2013, გვ. 143-144, http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli..pdf უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 29.05.2019

¹¹⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 56

¹¹⁶ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 226-227

მრავალ დანაშაულებრივ ქმედებას აერთიანებს, ამ მხრივ გამოიყოფე სისხლის სამართლის თეორიაში დამათავრებულ და დაუმთავრებელი მცდელობას.¹¹⁷

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მცდელობის სახეებად დაყოფას ობიექტური კრიტერიუმი უნდა დაედოს საფუძვლად, რადგან მხდევლელობაში არის მისაღები არა ადმიანის სუბიექტური მოსაზრებანი, არამედ რეალურად ჩადენილი ქმედებები, რომელიც კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობასთან მიმართებაში შეიძლება შეფასდეს დაუმთავრებელ ან დამათავრებელ მცდელობად.¹¹⁸

საქართველოს სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ დანაშაულის მცდელობის ორ სახეს: დამათავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობას.

დამათავრებელია მცდელობა, როდესაც პირმა ყველა ის მოქმედება შეასრულა, რაც დანაშაულებრივი შედეგი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ არ დადგა შედეგი ხელისშემშლელი გარემოების გამო.¹¹⁹ მაგალითად. გიორგიმ გადანყვიტა ნიკოლოზის მოკვლა, რა მიზნითაც ჩუმად ღვინის ჭიქაში ჩაუყარა სანამლავი. ნიკოლოზმა დალია ღვინო, მაგრამ დროული სამედიცინო დახმარების გაწევის შედეგად გადარჩა. ამ შემთხვევაში სახეზე იქნება მკვლელობის დამათავრებელი მცდელობა.

მეორე მაგალითი. დამნაშავემ მსხვერპლის მოკვლის მიზნით, სანამლავი მისცა და ელოდება მის სიკვდილს, ასევე დამნაშავემ მსხვერპლი აქათვებულ მდინარეში გადააგდო და ელოდება მის დახრჩობას. თუ სანამლავის მიცემით ან მსხვერპლის წყალში გადაგდებით მცდელობა დამათავრდა, მაშინ დანაშაულის განვითარების რაღა სტადიაა მსხვერპლის წყალში გადაგდებიდან მის დახრჩობამდე ან იმ მომენტამდე, ვიდრე მსხვერპლი თავს დაახნევს თითონ თუ ვინმეს დახმარებით. მცდელობის სტადია გაგრძელდება სანამ მსხვერპლი დაიხრჩობა და მცდელობა დამათავრებულ დანაშაულში გადაიზარდება ან კიდევ სიკვდილს გადაურჩება. ო. გამყრელიძის აზრით დანაშაულის მცდელობის დაყოფა დამათავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობად პრაქტიკულად გაუმართლებელია. ეს იმას არ

¹¹⁷ ა. გაბიანი და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამოც., „მერიდიანი“, 2007, გვ. 164 (რედ: გ. ნაჭყებია და ი. დვალიძე.)

¹¹⁸ იხ. იქვე, გვ., 164-165

¹¹⁹ იხ. იქვე, გვ. 165

ნიშნავს, რომ სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღოს, როგორი საფრთხე შეუქმნა დამნაშავემ სამართლებრივ სიკეთეს და რამდენად მიახლოებული იყო მცდელობის დამთავრებულ დანაშაულთან.¹²⁰

რაც შეეხება დაუმთავრებელ დანაშაულს იგი ხასიათება იმით, რომ დამნაშავე მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ შეძლო მოქმედების განხორციელება, რომელიც ის თვლიდა განსახორციელებლად საჭიროდ და ასევე შედეგის მისაღწევად. მაგალითად, ა ეჩხუბებოდა ბ-ს, ჩხუბის დროს ა-მ ამოიღო დანა ბ-ს მოკვლის მიზნით, ამ დროს იქვე მდგომა გ-მ დანა წაართვა ა-ს. ამ შემთხვევაში სახეზე არის განზრახი მკვლელობის დაუმთავრებელი მცდელობა.

დამთავრებული მცდელობა უფრო მძიმეა ვიდრე დაუმთავრებელი მცდელობა. იგი ახლოსაა დანაშაულის დამთავრებასთან. ამგვარ დაყოფას მნიშვნელობა აქვს ე.წ. მატერიალური (შედეგიანი) დანაშაულის დროს. რაც შეეხება ფორმალურ დანაშაულს, აქ მხოლოდ დაუმთავრებელ მცდელობაზე შეიძლება ლაპარაკი, რადგან თუ მოქმედება შესრულებულია, ამ შემთხვევაში გვექნება დამთავრებული დანაშაული და არა დაუმთავრებული მცდელობა.¹²¹ რაც შეეხება მათ განსხვავებას მდგომარეობს იმაში, რომ იგი შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ხარისხით და საშიშროებით, რომელიც გათავლისწინებული უნდა იქნეს სასჯელის დანიშვნის დროს.¹²²

2.2.4. უვარგისი მცდელობა

შემდეგი საკითხი, რომელსაც შევეხებით წარმოადგენს უვარგისი მცდელობას, რომელიც ზოგადად მცდელობის პრობლემატიკაში წამოიჭრება და დიდი მნიშვნელობა გააჩნია. უვარგისი მცდელობაში ოთხ სახეს გამოყოფენ: 1. უვარგისი საშუალებით მცდელობა; 2. მცდელობა უვარგისი ობიექტზე; 3. მცდელობა უვარგისი საგანით; 4 მცდელობის უვარგისი სუბიექტის მიერ.

¹²⁰ თ. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, გამომც: „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 250

¹²¹ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007, გვ. 223

¹²² ზ. მუჯანაძე, თ. მდინარაძე, საქარელოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც, „საქართ. სახლმწ. უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2005, გვ.188

„ ტერმინი უვარგისი მცდელობა საკმაოდ პირობითია, რადგანაც ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, უვარგისია შედეგის გამოუწვევლობის გამო. „უვარგის მცდელობას“ სისხლისსამართლებრივი გაგებით ადგილი აქვს მაშინ, როდესაც განხორციელებულ ქმედებას თავიდანვე არ გააჩნია კონკრეტულ შემთხვევაში სინამდვილედ გადაქცევის შინაგანი ტენდენცია. მაგალითად, ა-ს აქვს დაზიანებული იარაღი, რომელიც უმიზნებს ბ-ს, ა-ს არ უნდა რომ გამოკრას ჩახმახს ხელი რადგან არ ძალუძს ბ-ს სიკვდილის გამოწვევა. „¹²³

უვარგისი მცდელობის დროს პირი მოქმედება არ იწვევს დანაშაულებრივ შედეგს, რადგან დანაშაულის ჩადენის საშუალება და ასევე ობიექტი არ გამოდგება დანაშაულის ჩასადენად. უვარგისი მცდელობა პირის მიერ დაშვებული ფაქტური შეეცდომაა დანაშაულის ობიექტსა და საგანში.¹²⁴ ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისხ ეთანხმება, პროფ. ი. ვესელსი, რომელიც ამბობს, რომ უვარგისი მცდელობა სახეზე თუ ქმედების ჩადენაზე გადაწყვეტილების განხორციელებას, ამსრულებლის წარმოდგენის საპირისპიროდ-ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე-უნარი არ შესწევს უმართლობის ობიექტური შემადგენლობის სრულყოფილ შესრულებამდე მიგვიყვანოს. ასეთ შემთხვევასთან საქმე ამსრულებლის მიერ სუბიექტის, ქმედების ობიექტის ან ქმედების საშუალების უვარგისობის გაუცნობიერებლობაზე.¹²⁵

უვარგისი მცდელობის დასჯადობა არავითარ სიძნელეს არ წარმოშობს მცდელობის სუბიექტური თეორიისთვის. უვარგისი მცდელობის დასაბუთება პრობლემატურია ობიექტური თეორიის საფუძველზე, რადგან ქმედების განხორციელების შემდეგ დგინდება, რომ დანაშაულის განხორციელების კონკრეტული საფრთხე საერთოდ არ არსებობდა. ¹²⁶

¹²³ ა. გაბიანი და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც.: „მერიდიანი“, თბ., 2008, გვ. 166, (რედ: გ. ნაჭყებია და ი. დვალიძე)

¹²⁴ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრისი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., გამომც.: „მერიდიანი“, 2011, გვ. 43-44

¹²⁵ ი. ვესელსი, სისხლის სამართლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, გამომც.: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, გვ. 361

¹²⁶ ¹²⁶ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრისი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., გამომც.: „მერიდიანი“, 2011, გვ. 45

1. **მცდელობა უვარგის ობიექტზე.** უვარგისი მცდელობის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მცდელობა უვარგის ობიექტზე. კანონმდებლობა უვარგის ობიექტზე მცდელობის საკანონმდებლო დეფინიციას არ იძლევა. მცდელობა უვარგის ობიექტზე მაშინ გვაქვს, როდესაც იმ ობიექტის დაზიანება და რომლის წინააღმდეგაცაა ქმედება მიმართული შეუძლებელია. სისხლის სამართლის ლიტერატურაში ასეთ შემთხვევას უწოდებენ უვარგის საგანზე მცდელობას ან კიდევ არარეალურ ობიექტზე მცდელობას. მაგალითად, პირი დანას გაუყრის მსხვერპლს, რომელიც მას მიძინარე ჰგონია. სინამდვილეში აღმოჩნდება, რომ მსხვერპლი უკვე მკვდარი ყოფილა.¹²⁷

უვარგისი ობიექტი უნდა გავმიჯნოთ ადგილზე არ მყოფი ობიექტისგან. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც პირი თავდასხმას ახორციელებს მისი წარმოდგენით სასურველ ობიექტზე, მაგრამ სინამდვილეში იქ არ არის. მაგალითად, ბინაში გასაქურთდად შესულმა პირმა, ბინა ჩარიელი დახვდა.¹²⁸

2. **უვარგისი საშუალებით მცდელობა:** მცდელობა უვარგისი საშუალებებით ითვლება დანაშაულის ჩასადენად ისეთი საშუალებების გამოყენება, რომლებსაც თავისი ობიექტური ტვისებების მიხედვით არ შეუძლიათ გამოიწვიონ მართლსაწინააღმდეგო შედეგი. მაგალითად, ა-მ მოკვლის განზრახვით დაუმიზნა პისტოლეტი ბ-ს, ა-მ გამოკრა ჩახმას ხელი მარა თოფმა არ გაისროლა, რადგან აღმოჩნდა, რომ ტყვია მასში არ იღო.¹²⁹

უვარგისი საშუალების მცდელობა ან მომზადება შეიძლება გახდეს საფუძველი პირის სისხლისამართლებრივი პასუხებლობისგან განთავისუფლებისა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლი თანახმად, „პირს არ დაეკისრება სისხლისამართლებრივი პასუხიმგებლობა დანაშაულის მომზადებისთვის ან მცდელობისათვის, თუ მისი უმეცრების ან პიროვნული ნაკლის გამო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებით არ შეიძლებოდა

¹²⁷ იხ. იქვე, გვ. 45

¹²⁸ ა. გაბიანი და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც: „მერიდიანი“, თბ., 2008, გვ. 167, (რედ: გ. ნაჭყებია და ი. დვალიძე)

¹²⁹ თ. დონჯაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2002, გვ.224

მიღწეულიყო შესაბამის მართლსაწინააღმდეგო შედეგი.¹³⁰ „უმეცრება“ ადამიანის აზროვნების ისეთი ჩამორჩენაა, როდესაც პირი დანაშაულებრივ შედეგის ჩადენა ძალუძს, იმ საშუალებით, რომელიც არათუ ამ კონკრეტულ ვითარებაში, არამედ საერთოს უვარგისია გამოიწვიოს ეს შედეგი.¹³¹

3. მცდელობა უვარგისი საგნით: მცდელობა უვარგის საგანზე ნიშნავს ისეთ მცდელობას, რომლის დროსაც სუბიექტის მოქმედება მიმართულია ობიექტის დასაზიანებლად, მაგრამ თავისი თვისებით ზიანი არ მიაღგება. მაგალითად, ქურდმა გააღო სეიფი, რომელშიც ფული ინახებოდა, მაგრამ სეიფი ცარიელი აღმოჩნდა.¹³²

4. მცდელობა უვარგისი სუბიექტის მიერ: გერმანულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში მცდელობად თვლიან ასევე მცდელობას უვარგისი სუბიექტის მიერ. მეცნიერების აზრით, ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ქმედების შემადგენლობა სუბიექტის განსაკუთრებულ თვისებებს ითვალისწინებს და პირს ჰკონია, რომ მას ეს თვისება ახასიათებს. მაგალითად, ა-ს ჰკონია, რომ იგი არის მოხელე და იღებს ქრთამს. სინამდვილეში იგი ჯერ მოხელედ არაა დანიშნული.¹³³

უვარგისი სუბიექტის სამართლებრივი ფიგურა მცდელობის სუბიექტური თეორიიდან გამომდინარეობს. უვარგისი მცდელობის დასჯადობის მომხრეები მიუთითებენ, რომ პირმა ამგვარ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივად უნდა აგოს პასუხი, რადგან მისი ნება სისხლის სამართლის ნორმის წინააღმდეგ არის მიმართული. მეცნიერთა ერთი ნაწილი მცდელობას უვარგისი სუბიექტის მიერ ამიტომაც სამართლიანად თვლის მოჩვენებით დანაშაულად და დაუსჯელად.

134

¹³⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999.

¹³¹ მ. ლომსაძე, საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც: „უნივერსალი“, 2014, გვ. 70

¹³² იბ. იქვე, გვ. 70

¹³³ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომც, „მერდიანი“, თბ., 2011, გვ., 55.

¹³⁴ ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომც, „მერდიანი“, თბ., 2011, გვ., 55.

თავი III. კვლევის შედეგი

ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დანაშაულის მომზადების და მცდელობის ურთიერთგამიჯვნას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის

კვალიფიკაციისთვის, რადგან როგორც ვიცით, დანაშაულის მომზადება და მცდელობა სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს იწვევს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლი შედგება სამი ნაწილისგან. პირველ ნაწილში მოცემულია დანაშაულის მომზადების ცნება, რომლის მიხედვითაც, „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა.“¹³⁵ აქედან გამომდინარე, მას გააჩნია ორი ფუნქცია. ერთი ის არის, რომ იგი იმიჯნება განზრახი გამომჟღავნებისგან და მეორე, იგი ახორციელებს დასჯის ფუნქციას, რომელიც გულისხმობს ყველა კატეგორიის დანაშაულის მომზადების დასჯადობას, გამონაკლისების გარდა.

დანაშაულის მომზადების გამიჯნვას განზრახვის გამომჟღავნებისგან პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია, რადგან განზრახი გამომჟღავნება ყოველთვის დაუსჯელი რჩება. ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ თუ ქმედება დანაშაულის რეალური განხორციელებისათვის ხელის შეწყობას წარმოადგენს, ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება დანაშაულის მომზადებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი ეხება დანაშაულის მომზადების დასჯადობის თავისებურებებს. მასში ნათქვამია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია, მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის, ასევე ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადებისთვისაც. ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ სისხლის სამართლის კოდექსში, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა მსგავსად, შეტანილია ზოგიერთი ისეთი მუხლი, რომლებიც ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა მოსამზადებელ მოქმედებას დამოუკიდებელ შემადგენლობად ითვალისწინებს.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ თუკი კოდექსის ცალკეული მუხლების კონსტრუქციას მივაქცევთ ყურადღებას, დავინახავთ, რომ არცთუ ხშირათ ძნელია მოსამზადებელ სტადიაზე იმის გარკვევა, რომელი კატეგორიის დანაშაულის

¹³⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ. 1999, მ.18

ჩადენისთვის ემზადებოდა პირი, როდესაც პირმა იარაღი ან საშუალება შეიძინა თუ ასევე დაამზადა.

ასევე საინტერესო იყო ერთი პრაქტიკული საკითხი, რომ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას მომზადებისათვის, როცა მოსამზადებელის მოქმედება უფრო ახლოს არის მცდელობის სტადიასთან. თუმცა დანაშაულის მცდელობას მას ჯერ კიდევ ვერ მაღავარქმევთ, სასურველია აგრეთვე, რომ მოსამზადებელი მოქმედებისათვის პირი დაისაჯოს, როცა ის მიზნად ისახავს ადამიანის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას.¹³⁶

კიდევ ერთი პრობლემური საკითხი ეხება ასევე მომზადების დანაშაულის დაწყებას. მომზადების დროს კონკრეტული დანაშაულებრი განხორციელება ჯერ არა არის დაწყებული, არამედ ჯერ ადგილი აქვს პირობების მომზადებას, რომ სამომავლოდ დანაშაული იქნეს განხორციელებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირს საფრთხე ექნება არა იმწუთიერი, არამედ სამომავლოდ. სწორედ ამის გამო არის მომზადების დასჯადობა პრობლემური მეცნიერებში, ზოგიერთი მეცნიერი არ უჭერს მხარს მის დასჯადობა, ზოგიერთ ქვეყნების კანონმდებლობაში მომზადება დასჯადად არაა მიჩნეული.

კვლევამ აჩვენა, რომ მომზადების დასჯადობის საკითხი სასამართლო პრაქტიკაშიც პრობლემატურია, მიზეზი შეიძლება დასახელდეს სსკ-ის მე-18 მუხლი.

დანაშაულის მცდელობის ცნების დადგენა სისხლის სამართლის მეცნიერებაში საკმაოდ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე საბჭოთა პერიოდიდან დღემდე დისკურსია არ ცხრება ამ საკითხისადმი. მითუმეტეს მას შემდეგ, რაც თანამედროვე ქართული სამართალი გადავიდა ფინალისტურ თეორიის საფუძველზე.

აგრეთვე მნიშვნელოვანია ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საფრთხე არის სისხლის სამართლის მნიშვნელობით არის შედეგის განხორციელების შესაძლებლობა და რომ საფრთხის ცნება ეკუთვნის შესაძლებლობის კატეგორიას.

¹³⁶ თ. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, გამომც: „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 242

ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევამ, გამოკვეთა პრობლემის მთავრი დებულებები:

- თუ მოქმედების შესრულებულია დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი ადგილი აქვს არა მცდელობას, არამედ დამთავრებულ დანაშაულს,
- მცდელობას ადგილი აქვს, ასევე ყველა შემთხვევაში, როცა პირმა ჩაიდინა ისეთი მოქმედება, რომელსაც უნდა მოყოლოდა დანაშაულებრივი შედეგი, მაგრამ ეს შედეგი არ დადგა მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო,
- ასევე მცდელობას აქვს ადგილი მაშინ, როდესაც პირი უშუალოდ დაესხვა თავს ობიექტს, იგი შეუდგა თავისი განზრახვის განხორციელებას, თუმცა განზრახვა ვერ დაამთავრა,
- ასევე, როდესაც პირმა დანაშაულის დამთავრება ვერ მოახერხა, რადგან მას უვარგისი იარაღი ან დანაშაულის ობიექტის გამო.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ დღეისთვის მეცნიერებაში დიდი დავა მიმდინარეობს ევენტუალური განზრახვით მცდელობის არსებობა- არასებობისთვის. მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი თვლის რომ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობა შეუძლებელია, ხოლო მეორენი აღიარებენ ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობას.

მეორე პრობლემატური საკითხი კოდექსთანაა დაკავშირებული, კერძოდ, კოდექსში მონესრიგებულ საფრთხის დელიქტებთან. საფრთხის შემქნელი დელიქტებისათვის დამახასიათებელია ობიექტური მხარის ნაკლოვანება, რაც გამოიხატება იმაში, რომ სისხლის სამართლით დაცულ სამართლებრივი სიკეთისთვის რეალური საფრთხე შექმნა უკვე არსებობს, რაც წარმოადგენს დამთავრებულ დანაშაულს. იმისთვის რომ ქმედება საფრთხის შემქნელ დელიქტებად დავაკვალიფიციროთ, საკმარისია საფრთხის განხორციელება. ამ დელიქტებს მიეკუთვნება 127-ე და 128-ე მუხლები.¹³⁷

¹³⁷ ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, გამომც: „მერიდიანი“, თბ., 2013, გვ. 242-245

კვლევაში ნაჩვენებია მაქვს ასევე უვარგისი მცდელობა, რომელიც მცდელობის პრობლემატიკაში წამოიჭრება ხოლმე და რომელსაც არცთუ მცირე მნიშვნელობა აქვს.¹³⁸

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება საშიში იყოს საზოგადოებისთვის, იმისდა მიუხედავად, ეს დანაშაულებრივი ქმედება დასრულებულია თუ არა, კერძოდ სამართლით დაცული სიკეთისათვის საფრთხის შექმნის მომენტიდან.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ დაუმთავრებელი დანაშაულის სახეები, კერძოდ დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

მცდელობისაგან გასხვავებით, დასჯადი არაა, ე.წ. დაუმთავრებელი მომზადება, როცა პირმა შექმნა ერთი ან რამდენიმე პირობა, თუმცა მას არ შეუქმნია ყველა პირობა, რომელიც საჭიროა დანაშაულის მცდელობის ჩასადენად ანუ ამ დანაშაულის ობიექტური მხარის განსახორციელებლად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, „დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა.“¹³⁹ ამ მუხლის განმარტება უნდა გავიგოთ ისე, რომ დანაშაულის მომზადების სტადია დროსა და სივრცეში ახლოს უნდა იყოს მცდელობასთან. აქედან გამომდინარე, სსკ-ის მე-18 მუხლში ხასგაზმით არის ნახსენები, პირობები და არა პირობა.

როგორ უკვე ავღნიშნეთ, მოსამზადებელი მოქმედება არ წარმოადგენს იმის დაწყებას, რომ აღსრულდეს დანაშაულის შემადგენლობა. იგი ქმნის პირობებს, რომ მომავალში შესაძლებელი გახდეს დანაშაულის განხორციელება ან მისი ჩადენა. ნებაყოფლობით ხელის აღების დროს, თუ პირმა შეწყვიტა მოქმედება ამ სტადიაზე, იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

¹³⁸ იხ. იქვე, გვ., 250-251

¹³⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999.

მოსამზადებელ საქმიანობად ითვლება ასევე პირის შეკვრა დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად. დანაშაულის მომზადება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს იმ დანაშაულის შემადგენლობის ნიშანს და შემადგენლობის განხორციელების დაწყებას, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში. თუმცა მოსამზადებელი მოქმედება, რა თქმა უნდა, შეიცავს დანაშაულის მომზადების შემადგენლობას. გასაღების გაკეთება ქურდობის მიზნით არ წარმოადგენს ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობის დანაშაულის ობიექტური ნიშნის განხორციელებას. ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, გაბატონებული შეხედულება დანაშაულის მომზადებაში არ გამორიცხავს ფართო გაგებით დანაშაულის შემადგენლობის არსებობას. მართალია, დანაშაულის მომზადების, საკანონმდებლო დეფინიციით, დანაშაულისათვის პირობების შექმნა დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებს გარეთ არის, მაგრამ ასეთი პირობები იქმნება ვიწროდ გაგებულ დანაშაულის შემადგენლობის განსახორციელებლად. სადაოა, თუ რამდენად მართებულია საკითხისადმი ასეთი მიდგომა, თუმცა ცხადია, რომ აღნიშნული მსჯელობა ხელს უნობს დანაშაულის შემადგენლობის დუალისტურ გაგებას, რაც ცალსახად გაუმართლებელია. ამდენად, უმჯობესია, თუ სისხლის სამართლის დოგმატიკა არ შეეცდება მასში ხელოვნურად დანაშაულის შემადგენლობის შექმნას ფართო გაგებით და დანაშაულის მომზადებად მივიჩნევთ დანაშაულის ჩასადენად მხოლოდ პირობების განზრახ შექმნას, როგორც ეს მოცემლია სსკ-ის მე-18 მუხლის პირველ ნაწილში.

დანაშაულის მომზადების სუბიექტური მხარე გულისხმობს განზრახ ბრალეულობას. განზრახვა მიმართული უნდა იყოს არა მოსამზადებელ საქმიანობაზე, არამედ შედეგის განხორციელებაზე. განზრახვა უნდა მოიცავდეს ყველა იმ გარემოებებს, რომლებიც დაუმთავრებელი დანაშაულის შედეგს ახორციელებს.

დანაშაულის მომზადებისთვის სასჯელის დანიშვნისას სხვადასხვა შემთხვევებში შეიძლება სახეზე იყოს მართლსაწინააღმდეგო შედეგი. აქედან გამომდინარე,

სასამართლოს შეუძლია სასჯელის დანიშვნისას ეს გაითვალისწინოს დამამძიმებელ გარემოებად.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი.“¹⁴⁰ ე.ი დანაშაული არ სრულდება სხვადასხვა, მაგრამ ზოგჯერ დამნაშავისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულებრივი შედეგის ასაცლებლად შეიძლება დამნაშავემ თავისი ნებით უარი თქვას დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, რაც იურიდიულ ლიტერატურაში როგორც, ვიცით, ცნობილია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებით.

მომზადებისა და მცდელობის შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს მე-18 და მე-19 მუხლით და სსკ-ის კერძო ნაწილის იმ მუხლით, სადაც აღწერილია კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობა, რომლის მომზადება ან მცდელობა განახორციელა დამნაშავემ.

¹⁴⁰ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 19

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. გაბიანი. ა და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2007;
2. ტყეშელიძე. გ და „სხვები“, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2016;
3. ბლიაძე მ, ზედგენიძე ა, დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2006;
4. მუავანაძე. ზ, მდინარაძე, ო., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 2005;
5. წერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა, გამომც. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა გამომცემლობა“, თბ., 1961; ეს არ გინდა.
6. წერეთელი თ., სისხლის სამართლის პრობლემები ტI, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2007;
7. წერეთელი თ ტყეშელიაძე გ., საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976;
8. შენგელია ა, დოლიძე თ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (დამხმარე სახელმძღვანელო), გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2016;

9. გამყრელიძე ო, სისხლის სამართლის პრობლემები ტIII, გამომც: „მერიდიანი“, თბ., 2013,
10. დონჯაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბ., 2007;
11. ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომც. „ბონა კაუზა“, თბ., 2010;
12. ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011;
13. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ე., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011;
14. ლომსაძე მ., საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2014;
15. დათუაშვილი ჰ, კვაშილავა ა., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2003;
16. ფანჯიკიძე თ, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2003;
17. ვესელსი ი, ბოილკე ვ, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, 38-ე გადამუშავებული გამოცემა, გამომც. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბ., 2010;
18. თოდუა ნ., (რედ), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007;
19. ნაჭყებია გ., (რედ), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011;
20. ნაჭყებია გ, დვალიძე ი., (რედ), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბ., 2007;
21. ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანულ სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 2013;
http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/levan_xaranauli.pdf
22. ცქციტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლიდა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, გამომც. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“,

http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/temur_cqitishvili.pdf

23. გეგელია. თ, დაუმთავრებელ დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები, თბ., 2018, გვ., 10, <http://dspace.nplg.gov.ge>
24. გოგშელიძე ზ. „მკვლევლობის მომზადების დასჯადობის საკითხი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, #3, ISSN 2449-3112, თბ., 2018, (113-124), გვ.,116; https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/sixxl-aqtual3.pdf
25. საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტუალი“, #21 თბ., 2012;

სასამართლო პრაქტიკა

26. ე. თბილისის საქალაქო სასამართლო, განაჩენი, საქმე 1/15---18;
ნორმატიული აქტები
27. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999; (ახ. რედ);